# ალია

№178/3300/ 25 ნოემბერი 2015 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE



რეკლამა „ალიაში“
5 77 444 442


## რა საფრთხეები დაგვემუქრება, თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყო?



## რას შეპირდა მანანა კობახიძე ირმა ინაშვილს?



## რატომ ჩაბარდა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპარტნიორი საფრანგეთის ჟანდარმერიას?



6

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

## ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ თვითლიკვიდაცია უნდა მოახდინოს — მედიას საზოგადოების „დაბოლებისკენ“ მოუწოდებს და იმიტომ!

2

# პატრიარქის გეგმა „ბ“ თუ სააკაშვილის მიერ კომპრომატებით „დავერბოვკებული“ პაატა ბურჭულაძე?



„ნაციონალებისგან“ გამოყონილი მესამე ვერსიით, პაატა ბურჭულაძე შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ფავორიტია. ამ ვერსიის ერთ-ერთი საფუძველი კი ის არის, რომ პაატა ბურჭულაძე „კანონიერი ქურდის“, ტარიელ ონიანის შვილის ნათლიაა

თუმცა, აქვე ერთი კითხვა ჩნდება – თუ პაატა ბურჭულაძე პატრიარქის რჩეულია, მაშინ „ნაცმოძრაობას“ რატომ ეკურკურება და პოლიტიკაში მოსვლისთანავე რატომ არ დაუპირისპირდა იმ ძალას, რომელმაც პატრიარქიც, საპატრიარქოც და მთელი ქართველი ერიც შავ დღეში ჩააგდო? ამის შესახებ გიგა ბოკერიას საკუთარი პოზიცია ჰქონია

11

### 3 რამ, რაც უკეთესი ცხოვრების მიზნით სახლიდან სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ



15

### მშობლების მიტოვებისთვის, შვილებს ციხეში ჩასვამენ!



16

### რატომ გადაწყვიტეს ჩინელებმა ოთხზე დამდგარებმა იარონ?



15

### როგორ მოქმედებს დაავადებული კბილი გულზე?



16

### დედის რძე ინფექციებისგან მხოლოდ გოგონებს იცავს?



15

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ თვითლიკვიდაცია უნდა მოახდინოს — მედიას საზოგადოების „დაბოლებისკენ“ მოუწოდებს და იმიტომ!




23 ნოემბერს „ისლამურმა სახელმწიფომ“ ქართულენოვანი ვიდეო გაავრცელა, რომელშიც ტერორისტული დაჯგუფების ოთხი წევრი საქართველოს ემუქრება და გვპირდება, რომ ჩვენთანაც დადგება „თავების დაჭრის დრო“.

სუს-მა მედიას ურჩია, ნუ შეუწყობთ ხელს და ნუ მოახდენთ ამ ამბის ტირაჟირებასო. რაღა დაგიმალოთ და ძალიან არ მოგვეწონა ეს მოწოდება – აბა, დავუმალოთ საზოგადოებას, მკითხველს, ვინ და რატომ გვემუქრება?! თუმცა ეს ყველაფერი როდია – ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომაც მოუწოდა მედიასაშუალებებს, უცვლელი ფორმით ნუ გაავრცელებთ ტერორისტული შინაარსის მიმართვებსო.

– საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მოსალოდნელი ძალადობისა თუ სხვა საფრთხის შესახებ, თუმცა მედიასაშუალებებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, ინფორმაცია გაავრცელონ მაქსიმალურად დიდი სიფრთხილით, რათა თავიდან იყოს აცილებული შიშისა და პანიკის გავრცელება.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო მედიასაშუალებებს აძლევს რეკომენდაციას:

მოკლედ გადმოსცენ ტერორისტული ვიდეომიმართვის შინაარსი;

არ გამოაქვეყნონ ტერორისტთა მიმართვები უცვლელად, გადასცენ რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება;

არ გამოაქვეყნონ ვებგვერდის კონკრეტული ბმული, სადაც კადრები აიტვირთა;

თუ კადრები არ შეიცავს ძალადობის სცენებს, შესაძლებელია მათი გამოყენება გადაფარვის მიზნით, ხმის გარეშე, – ნათქვამია ქარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში...

სანამ სუს-ისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას გავცემდეთ პასუხს, მანამდე ვიდეომიმართვის ტექსტურ ვარიანტს შემოგთავაზებთ:

**– ქება-დიდება ალაჰს. ქება-დიდება იმ ერთადერთ ღმერთს, რომელმაც ჩვენზე ეს დიდი მოწყალება გაიღო და ჩამოგვიყვანა ისლამურ ხალიფატში. ქება-დიდება ალაჰს ამ დიდი წყალობისთვის.**

**ამის შემდეგ, როგორც ალაჰი ყურანში ბრძანებს – შეაგონე,**




**უეჭველად შეგონება მორწმუნეებისთვის სარგებელს მოიტანს.**

**ჩვენი განზრახვა და ჩვენი საუბარი მხოლოდ ამ ნათქვამის ცხოვრებაში გატარებაა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი პატარა მიმართვით მორწმუნეებმა ალაჰის დახმარებით სარგებელი ნახონ. პირველ რიგში, მივმართავ იმ მუსლიმან ძმებს, რომლებიც სხვებისგან განსხვავებით ჭეშმარიტებას ხედავენ და ესმით.**

**მუსლიმანო ძმებო, ჩვენ თქვენ გვერდით ვიყავით და ალაჰმა ინება და აქ მოგვიყვანა. ჩვენო მუსლიმანო ძმებო, ალაჰი გიბრძანებთ, ვინც უარყოს ტაგუტი და ირწმუნოს ალაჰი და ვინ არის ტაგუტი, ტაგუტი არის სხვა ყველა გზა და მიმართულება, რომელიც ალაჰისა და მისი მოციქულის გზასა და საზღვრებს გადადის. მუსლიმანო ძმებო, თქვენთვის აკრძალულია, იცხოვროთ კაფირებთან ერთად...**

**მინდა მივმართო აჭარლებს, რომლებიც საკუთარ თავს მუსლიმანებად მიიჩნევენ, რომელთაც ისლამი და მუსლიმანები უყვართ. ხალხო, გამჩენმა ალაჰმა ისლამი მთელი კაცობრიობისთვის გამოგზავნა, რათა დაეყენებინა ისინი ჭეშმარიტ გზაზე. თქვენ ამ რელიგიის მხოლოდ ნაწილი მიიღეთ, როგორიცაა მარხვა, დღეში ხუთჯერ ლოცვა... მაგრამ თქვენ უმთავრესი რაც არის, ის არ მიიღეთ – ერთი ღმერთი: სიყვარული ალაჰის გამო და სიძულვილი ალაჰის გამო. თქვენ ცდებით, როდესაც სიტყვებით ლაპარაკობთ. ცდებით იმ საკითხში, რომ ალაჰი ბრძანებს – მსაჯულება ალაჰს ეკუთვნის და ამავე დროს ყოველდღიურად ხართ ტაგუტის კანონებით და უფრო უარესი – თქვენ თვითონ ირჩევთ მმართველებად კაფირებს (ურწმუნოებს), რომ თქვენი წინამძღოლები იყვნენ ურწმუნო ბინძურები.**

**მესამე საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო, ეს არის დღეს აჭარაში ისლამის წინამძღოლი, ეგრეთ წოდებული მუფტი. თქვენ დიდი ცოდვა გაწევთ კისერზე, იმიტომ, რომ ადამიანებმა არ იციან ისლამი და არიან შეცდომაში შეყვანილები და თქვენ უფრო დიდ შეცდომაში შეგყავთ ისინი. სიტყვებით უბნევთ გზას, ჭეშმარიტებას უკუღმა აჩვენებთ. თქვენ ტაგუტის მონები ხართ.**

**ნუთუ არ გეშინიათ ალაჰის, რომელმაც შეგქმნათ ერთი წვეთი სისხლისგან. თქვენ აუცილებლად მოკვდებით და წარდგებით ალაჰის წინაშე. ყოველი თქვენი ნამოქმედარის გამო პასუხისგება მოგიწევთ მის წინაშე. გეშინოდეთ ალაჰის, ნუ გეშინიათ ამ ბინძური წინამძღვრების.**

**მინდა, მივმართო იმ ხალხს, რომლებიც მიხვდნენ რელიგიას სწორად, მაგრამ სწორად არ ცხოვრობენ. ის მდგომარეობა, რომელიც ამ მხრივ საქართველოშია, ძალიან მცირეა (მიმართავს ქართველ მუსლიმანებს). ღმერთმა სწორი გზა მოგცეთ, რომ ჩამოხვიდეთ ქვეყანაში, სადაც ღმერთის კანონით არის მმართველობა. თუმცა ის მდგომარება, რაც საქართველოშია, რომ თავისი გზა-კვალი აიბნია ხალხმა, ეს მუსლიმანის უინტერესობიდან გამომდინარეა. ყველა მუსლიმანი ვალდებულია, ალაჰის სწორი გზით იცხოვროს.**

**მინდა მივმართო საქართველოს მორწმუნეებს, რომელიც ებრძვიან დიდი ხნის განმავლობაში, რომლებსაც დიდი მონაწილეობა აქვთ მიღებული ისლამის საწინააღმდეგოდ, ეს იქნება ერაყში თუ ავღანეთში, ყველა თქვენი ნამოქმედარის გამო ღმერთის კანონით განისჯებით და ღმერთი ძალიან მკაცრია. აქედან გამომდინარე, გონს მოეგეთ და შეეშვით მუსლიმანების დევნას. ყველა თქვენი მოქმედება, რომელიც ისლამის საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ, პასუხისგებაში დადგება. სულ მალე, ღმერთის სახელით, დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც. ღმერთის კანონით დაგსჯით და განგსჯით...**

წესით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას ამ მოწოდების გამოქვეყნებისთანავე თვითლიკვიდაცია უნდა მოეხდინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეჭვი გვაქვს, ასე არ იზამს და უფრო მეტ „რჩევას“ მისცემს მედიას და უფრო აქტიურად დაიწყებს თითის ქნევას – ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას გვარიგებს და იმიტომ, მაგრამ ერთი აქეთ მოიხედეთ და ყური დაგვიგდეთ – ჯერ ერთი, სუს-ი არ უნდა ბედავდეს იმის კარნახს, როგორ მივაწვდით ინფორმაციას მკითხველს და

მეორე – მით უმეტეს თავი უნდა შეიკავოს ძალოვანი უწყების მსგავსი მოწოდებებისგან ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ და აი, რატომ:

– დიახ, მკითხველმა და საზოგადოებამ აუცილებლად ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს, რა საფრთხე ემუქრება, საიდან და ვისგან, რათა ყურადღება არ მოადუნოს;

– იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია სუს-სა და შესაბამის უწყებებს მოუწოდებდეს, მოითხოვდეს, დეტალური ინფორმაცია გაგვაცანით, თანაც დაუყოვნებლივ, რას აკეთებთ ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავადო, მედიას აძლევს „რჩევას“, რედაქტირებული უნდა იყოს ამბებიო;

– როგორ უნდა დარედაქტირდეს ეს სიტყვები, ძვირფასო ქარტიავ: **„სულ მალე, ღმერთის სახელით, დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც“ –** თავის ნაცვლად ყურები დავწეროთ, ფრჩხილები თუ ელენთა?!

– როცა უძლიერესი სახელმწიფოების უსაფრთხოება ჩამოიმხვეს თავზე ტერორისტებმა, ჩვენ ვუმტკიცოთ მკითხველს, არხეინად იყავით, სისხლისმსმელების მუქარა ფეხებზე დაიკიდეთ და ნარმანიას დასარგავი მილიონი ხე ითვალეთო?!

– როცა ლამის მთელი ევროპა მოქალაქეებს მაქსიმალური სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ამას სწორედ მედიის დახმარებით აკეთებს, გვერდზე გავწიოთ ეს ფაქტი, არ გავითვალისწინოთ?!

– ან როცა საელჩოები განგაშის ზარებს ტეხენ და საკუთარ მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, არც ამას მივაქციოთ ყურადღება?!

– კი, უნდა დარედაქტირდეს და არ უნდა გავრცელდეს მედიით (როგორც ეს 2008 წელს ზოგზოგიერთმა ტელევიზიამ გააკეთა) ინფორმაცია იმის შესახებ, საომარი მოქმედებების დროს სად არის დისლოცირებული ქვეყნის არმია, სად არის განლაგებული მძიმე შეიარაღება და ასე შემდეგ, მაგრამ როცა ტერორისტები გემუქრებიან, თავებს დაგაყრევინებთო, აი, ეს უკვე არ უნდა დაიმალოს!

– და ყველაზე მთავარი – „ალიას“ არასოდეს მოუტყუებია თავისი მკითხველი და არ მოატყუებს არც ახლა – კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებთ, რა იცით, რაში გამოგადგეთ!

**ალია**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ჯერ ისაო, ნარმანიამ — თვითნებურად ანგრევთ ასფალტსო, ახლა — ქალაქის ცენტრში „საფლავებს“ ხალხი ითხოვსო



დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ პირველი კომენტარი გააკეთა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სკვერზე, რომელიც საფლავს მიამსგავსეს.

დავით ნარმანია ამბობს, რომ მოსახლეობა დაუცველი ტერიტორიების შემოღობვას ითხოვს. მისი თქმით, აღნიშნული პროექტიც შემოსული განცხადების საფუძველზე გაკეთდა.

დედაქალაქის მერი არ აკონკრეტებს, თავად მოსწონს თუ არა სკვერი, რომელიც საფლავს მიამსგავსეს, თუმცა დარწმუნებულია, რომ სკვერი მოსწონთ მათ, ვინც შემოღობვა მოითხოვა.

– ჩემთვის ყველაზე მთავარია, გავაკეთოთ საქმე, რასაც საზოგადოება ითხოვს. სწორედ მოსახლეობის მოთხოვნა იყო, თუ რაღაცა ტერიტორიაზე ვინმეს რაიმე გასაკეთებელი, ან ვინმეს რაიმე მოთხოვნა ჰქონდა, ამაზე ადეკვატურად გვეპასუხა. ჩვენით არ გაგვიკეთებია. მოსახლეობა ითხოვდა და დღესაც ითხოვს, რომ ცალკეული, დაუცველი ტერიტორიები შემოვღობოთ და შესაბამისი პროექტები გავაკეთოთ. ესეც იგივე პროექტი იყო, რომელიც თბილისის მერიის მხრიდან შესაბამისი შემოსული განცხადებების საფუძველზე გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, რომ მოსწონთ იმ ადამიანებს, რომლებმაც მოითხოვეს. თუ ვინმეს რამე არ მოეწონება, მზად ვართ, შევასწოროთ ეს ყველაფერი, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას 9 ნომერში ახალი სკვერი შენდება. ერთი ჩვეულებრივი სკვერი ინტერნეტმომხმარებლებში დიდი მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. მწვანე რკინის ღობით შემოსაზღვრული პატარა

ბუჩქები, როგორც ჩანს, ბევრში საფლავის ასოციაციას იწვევს. შესაბამისი კომენტარები მოჰყვა სკვერის ფოტოს გავრცელებას „ფეისბუკის“ გვერდზე:

„კაკაჩიას აკლდამა“;

„ქოცები“ უკვე საფლავებს იზომავენ?“;

„ამ სიმახინჯეში, ეტყობა, კარგი ფული მოტეხეს. საშინელებაა, მართლა საფლავებს ჰგავს“;

„მაგას თავი კოკში ჰგონია და შემოღობა, საქონელმა არ გადაჭამოსო“;

„ოცნების სასაფლაო... მე ასე დავარქმევდი ნარმანიას კრეატივს“... (ambebi.ge)

**არა, ხალხო, რამდენი სათხოვარი გვაქვს მერიის მიმართ, რამდენ რამეს ვეხვეწებით ხოლმე და რაღა ეს კვერცხობა გაითვალისწინეს, ნეტა, თუ გვეტყვის ვინმე? თქვენ წარმოიდგინეთ, გვეტყვის და პასუხი ზუსტად ისეთი უტიფარი იქნება, როგორიც აგერ, ზემოთაა, ჩემო ბატონო!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ოცნებამ“ ზამთარი გაგვიძვირა!



გაუფასურებული ლარის შემდეგ მოსახლეობის მორიგი თავსატეხი, 3-4 თეთრით გაძვირებული დენის ტარიფია, რომელიც ზამთარში მძიმე ტვირთად დააწვება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობას შარშანდელთან შედარებით, კიდევ უფრო რთული ზამთარი ელის.

– არც შემოდგომაა სახარბიელო, ხომ ხედავთ, რაც ხდება, თუმცა მოსახლეობას კიდევ უფრო რთული ზამთარი ელის. გაძვირებული პროდუქტები, გაძვირებული დენის ტარიფი და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კი ყველას ჯიბეზე ძალიან მძიმედ აისახება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლარის შემდგომი გაუფასურებაც არ არის გამორიცხული. ეს კი ერთობლიობაში მოგვცემს სერიოზულ ასახვას მოსახლეობის შემოსავალზე. ელექტროენერგიის გაძვირების გამო, პროდუქტი კიდევ გაძვირდება. პურის მწარმოებელს მოუწევს ფასის გაზრდა, რადგან პურის ცხობისთვის ელექტროენერგიაა საჭირო. ფასი ჯერჯერობით არ გაძვირებულა იმის გამო, რომ სახელმწიფომ მოახდინა სუბსიდირება. ეს კი გადასახადების გადამხდელებზე აისახა, ისინი იხდიან იმ გადასახადებს, რომელიც შემდეგ სუბსიდიის სახით უბრუნდება მის ჯიბეს უარყოფით კონტექსტში, – განაცხადა ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში გია ჯაფარიძემ.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში რომან გოცირიძე კი მიიჩნევს, რომ რთული ზამთარი რამდენიმე ფაქტორით იქნება განპირობებული.

– ვერ გეტყვით, რამდენად ძვირი იქნება ეს ზამთარი, თუმცა ინფლაციის მაჩვენებელმა უკვე შეადგინა 5,8 პროცენტი და ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა კვლავ მოსალოდნელია. ინფლაციის მატება დამოკიდებულია ბიუჯეტზე და ეროვნულ ბანკზე, თუ როგორი მონეტარული პოლიტიკა იქნება გატარებული ეროვნული ბანკის მიერ. მართალია, ელექტროენერგიის ფასმა მცირედით მოიმატა, მაგრამ ელექტროენერგიის მატება უკვე აისახა ინფლაციის მაჩვენებელზე, რომელიც 5 პროცენტის ფარგლებში იყო და ამ თვეში ინფლაციურმა მაჩვენებელმა 5 პროცენტს გადააჭარბა, ანუ გადასცდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ინფლაციური მაჩვენებლის ზრდა მხოლოდ ტარიფებმა გამოიწვია, ამას აქვს სხვადასხვა მიზეზი. რაც შეეხება ლარის კურსს, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ვალუტის შემოწმება და ბიუჯეტი. თუ ბიუჯეტის დეფიციტი იქნება მაღალი, ლარს საფრთხე შეექმნება, თუ ბიუჯეტი გაწონასწორდება, ლარის მნიშვნელოვანი რყევა არ იქნება მოსალოდნელი. ეს კი იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი სწორ მონეტარულ პოლიტიკას გაატარებს, – ამბობს რომან გოცირიძე.

ექსპერტთა თქმით, ზამთარი განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის გართულდება, ვისაც საბანკო ვალდებულება დოლარში აქვს აღებული, რადგან ეროვნული ვალუტა თითქმის 30 პროცენტით გაუფასურდა. ასეთი ადამიანების რაოდენობა კი უამრავია. (bpn.ge)

## გელა ნიკოლაიშვილი: ბორჩაშვილი სირიაში დაიჭრა და 8 თვე მკურნალობდა თურქეთში



ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული დავით ბორჩაშვილი აცხადებს, რომ მას კავშირი ჰქონდა „სირიის თავისუფალ“ არმიასთან და „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი არ ყოფილა.

ბორჩაშვილის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაედო, თუმცა მისი ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი გარკვეულ დეტალებზე მაინც საუბრობს:

– გამოძიება მას ედავება და ბრალს სდებს იმაში, რომ იბრძოდა „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში.

– გამოძიებას მტკიცებულებები აქვს?

– მათ აქვთ ის მტკიცებულებები, რაც ყველამ ნახა ტელევიზიით.

– მხოლოდ ეს?

– დიახ. ახლა კი ზის ინვალიდის ეტლში. ის არ მალავს, რომ კავშირი ჰქონდა სირიის „თავისუფალ არმიასთან“ და არა „ისლამურ სახელმწიფოსთან“.

– როგორ გგონიათ, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ამას დაამტკიცებს? მტკიცებულებები გაქვთ?

– მტკიცებულებები და არგუმენტები სჭირდება ბრალდებას. ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ, რასაც ამბობს, ეს არის უტყუარ მტკიცებულებებზე დაფუძნებული. ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეულია მხოლოდ „ისლამური სახელმწიფო“, თუმცა იქ არიან სხვა ძალებიც, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან. მათთან კავშირი არ არის კანონით აკრძალული და დასჯადი. იმედი გვაქვს, რომ სიმართლე გაირკვევა.

მოგვიანებით დავით ბორჩაშვილს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული შუამდგომლობა პროკურატურამ დააყენა. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე სასამართლო ღუდუშაურის კლინიკაში მსჯელობდა, სადაც დაკავებული მკურნალობს. ბორჩაშვილი კლინიკაში რამდენიმე თვის წინ მიყენებული ჭრილობის გართულების გამოა მოთავსებული.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ბორჩაშვილი საქართველოს სსკ-ის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას გულისხმობს. დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება. (postalioni.com; newposts.ge)

## ექსტრემისტი დიალოგზე არ მოდის, ვიდეომუქარა აშკარად დასაფიქრებელი და სამოქმედოა — მუფთის მოადგილე




სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე – ადამ შანთაძე ISIS-ის ქართულენოვანი მებრძოლების გავრცელებულ ვიდეომიმართვას აფასებს და ამბობს, რომ „ისლამი ძალადობრივი რელიგია არ არის, მებრძოლები კი ვიდეოში ყურანის აიებს საკუთარი ინტერპრეტაციით ციტირებდნენ“.

– ძალადობა, ტერორიზმი, ექსტრემიზმი ყოვლად მიუღებელია ისლამისთვის. სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველო სრულიად ვემიჯნებით ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას, – აღნიშნა შანთაძემ.

კითხვაზე, რა იცის მუქარის ავტორებზე (პაქსაძე, ირემაძე, ანთაძე და გობაძე) მუფთის მოადგილე ამბობს, რომ ეს პირები რადიკალურ ფრთას წარმოადგენენ.

– ეს არის დაშინება, ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის მცდელობა. ვიდეო აშკარად დასაფიქრებელი და სამოქმედოა. ჩვენ ამ ვიდეომიმართვას სრულიად ვემიჯნებით. საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოს საპატრიარქოსთან, ასევე, სხვა კონფესიებთან. სუიტებსა და შიიტებს შორისაც ძალიან კარგი ურთიერთობა არსებობს. ამით იმის თქმა მინდა, რომ არ არსებობს რაიმე სახის საფრთხის შემცველი წინაპირობა იმისა, რომ შეიცვალოს ეს დამოკიდებულება. ჩვენს ძმობას ვერანაირი მუქარა, ფსიქოლოგიური ძალადობა ვერ შეარყევს. საქართველო სამაგალითო ქვეყანაა თავისი ტოლერანტობით, – აღნიშნა შანთაძემ.

დავინტერესდით, აქვს თუ არა ადამ შანთაძეს რადიკალური დაჯგუფების მიერ ახალშენში შეკრებასა და მოსახლეობის გადაბირებაზე ინფორმაცია.

ამ კითხვის საპასუხოდ, მუფთის მოადგილემ განმარტა, რომ ახალშენში მეჩეთი არსებობს, სადაც ლოცვას ვერავის აუკრძალავენ.

– ამ რადიკალურ ჯგუფთან არანაირი შეხება არ გვაქვს. თუ მათი წარმომადგენელი მეჩეთში შემოვა, მას ვერ გავაგდებთ, ლოცვას ვერავის დავუშლით. ჩვენი მხრიდან მათთან გასაუბრების, რჩევის მიცემის მცდელობა ყოფილა, თუმცა ექსტრემისტი დიალოგზე არ მოდის, – დასძინა რესპონდენტმა.



## თურქეთმა რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო — „ეს ძალიან სერიოზული შემთხვევაა“



რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა, თურქეთ-სირიის საზღვართან რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ კომენტარი გააკეთა.

– არასწორი იქნებოდა რაიმე კომენტარის გაკეთება მანამ, სანამ არ შევისწავლით მთელ სურათს. ამიტომაც ამ შემთხვევაში, უბრალოდ, საჭიროა, მოთმინება გამოვიჩინოთ. ეს ძალიან სერიოზული შემთხვევაა. თუმცა, კვლავ ვიტყვი, სრული ინფორმაციის გარეშე რაიმეზე საუბარი არ შეიძლება. ეს არასწორი იქნება, – განაცხადა პესკოვმა.

მისი თქმით, გამორიცხული არ არის, რომ ვლადიმერ პუტინმა რუსული თვითმფრინავის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით, იორდანიის მეფე აბდალა II-სთან შეხვედრაზე განცხადება გააკეთოს.

რუსული სამხედრო თვითმფრინავი „სუ-24“ თურქმა სამხედროებმა თურქეთ-სირიის საზღვართან ჩამოაგდეს.

ოფიციალური ანკარის ინფორმაციით, თვითმფრინავმა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. ჩამოგდებამდე 5 წუთის განმავლობაში კი თურქული საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ 10-ჯერ გააფრთხილეს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „სუ-24“-ის კატასტროფის ფაქტს ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ სამხედრო თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. თვითმფრინავი სირიელი თურქმენების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოვარდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პილოტებმა კატაპულტირება მოახერხეს. ერთ-ერთი პილოტი ადგილობრივებმა ჩაიგდეს ხელში, ერთი კი გარდაიცვალა. პილოტების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდება. (ნიუპოსტი)

## „დედა, მინდა წერილით გითხრა და დაგემშვიდობო“ — ISIS-ის მებრძოლის წერილი დედას



„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ქართველების მისამართით გაკეთებული მუქარის ერთ-ერთი ავტორი, დედას შემდეგი შინაარსის წერილით დაემშვიდობა (სტილი დაცულია):

– ასალამუ ღალეიქუმ ვერეხმეთულაჰი ვავარაქათუ. დედა მინდა წერილით გითხრა და დაგემშვიდობო იმიტომ, რომ ასე აჯობებდა, რომ საქმე უკეთესად გამოსულიყო. პირველ რიგში მინდა გთხოვო, რომ არ გადუხვიო ღმერთის გზას ერთ ღმერთიანობას, როგორც გიხსნიდი ისე მოუდექი ღმერთის სამსახურს...

მედიამ იმ ოთხივე პირის ვინაობა დაადგინა, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ქართველებს ემუქრებიან.

ვიდეოში აღბეჭდილი 4 პირიდან სამი – რობიკო პაქსაძე, ბადრი ირემაძე და მამუკა ანთაძე ოზურგეთის რაიონიდან არიან. ისინი აჭარელი ეკომიგრანტების სტატუსით გურიაში რამდენიმე წლის წინათ ჩაასახლეს.

ისლამის მიმდევრების მშობლები აცხადებენ, რომ შვილებთან კონტაქტი არ აქვთ და არც იმის შესახებ იციან რამე, როგორ მოხვდნენ ისინი „ისლამურ სახელმწიფოში“.

ვიდეომიმართვაში მონაწილე კიდევ ერთი პირი ხვიჩა გობაძეა, რომელიც წარმოშობით ბათუმიდანაა. მისი მამა ილია გობაძე ამბობს, რომ საქართველო ხვიჩამ 2 თვის წინ დატოვა. (ნიუპოსტი)





## „თქვენ ეს შეძელით!“ — ნიკუშა ნატროშვილის მადლობა ხალხს

გამოჯანმრთელებული ნიკუშა ნატროშვილი რამდენიმე კვირის წინ საქართველოში დაბრუნდა და თავს კარგად გრძნობს. იმისთვის რომ ეს მომხდარიყო, გასული წლის მიწურულს მის დასახმარებლად უამრავი ადამიანი გაერთიანდა. ახლა კი ნიკუშა ყველა მათგანს მადლობას უხდის:

– ძალიან ბევრი ადამიანი მაჩერებს, გამოხატავს სითბოს, სიყვარულს, გვერდში დგომას და ეს ძალიან სასიამოვნოა! უუუღრმესი მადლობა ყველას! ეს გრძნობა მაძლებინებს და ამ გრძნობამ გადამალახვინა ის ურთულესი პერიოდი! თქვენ ეს შეძელით! – წერს ნიკუშა ნატროშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

## „უკრაინა თურქეთის მსგავსად მოიქცევა, თუ რუსული თვითმფრინავები მის საჰაერო სივრცეს დაარღვევენ“



უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ტურჩინოვმა თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტზე კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, უკრაინული სამხედროები ანალოგიურად მოიქცევიან, თუ რუსული თვითმფრინავები ქვეყნის საჰაერო სივრცეს სისტემატურად დაარღვევენ.

– თურქი სამხედროები პროფესიონალურად მოიქცნენ, ისევე, როგორც მოიქცეოდა ცივილიზებული სამყაროს სამხედრო ქვედანაყოფები, თუ მის სუვერენულ საჰაერო სივრცეს სხვა სახელმწიფოს სამხედრო თვითმფრინავები დაარღვევენ. სანამ ცეცხლს გახსნიდა, თურქულმა მხარემ არაერთხელ გააფრთხილა რუსეთი, რომ არ დაუშვებდა მისი საჰაერო სივრცის დარღვევას. თვითმფრინავის მისამართით მიზანმიმართული გასროლის განხორციელებამდე, სამხედროებმა რამდენიმეჯერ გააფრთხილეს მფრინავი და მხოლოდ შემდეგ შეუტიეს თვითმფრინავს, – განაცხადა ტურჩინოვმა. (ნიუპოსტი)



## ვლადიმირ პუტინი: ზურგში დანა ჩაგვცეს!

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის „სუ-24“-ის ჩამოგდებაზე პირველ კომენტარს აკეთებს. მისი თქმით, რუსული თვითმფრინავი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა თურქეთისთვის და მომხდარი სერიოზულ გავლენას იქონიებს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაზე.

– დღევანდელი დანაკარგი დაკავშირებულია იმასთან, რომ ტერორიზმის ხელშემწყობებმა ზურგში დანა ჩაგვცეს. მომხდარის სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ გავაკეთებ. ჩვენი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სირიის ტერიტორიაზე. „ეფ16“-ის თვითმფრინავიდან გაშვებული საჰაერო რაკეტით, – განაცხადა პუტინმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დავითვალოთ, ერთი, რამდენი დღე გაქაჩავს გამყარებას



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 25 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,4074 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,4078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0004 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5641 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2.5759 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0118 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ივანიშვილის სკანდალური პარტნიორი გაიდამაკი საფრანგეთს ჩაბარდა



ბიზნესმენი არკადი გაიდამაკი, რომელიც საფრანგეთის სასამართლოს დაუსწრებლად ჰყავდა გასამართლებული და თავისუფლების 3 წლით აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, საფრანგეთის პოლიციას ჩაბარდა. ინფორმაციას „ფრანს პრესი" ავრცელებს.

გაიდამაკის ადვოკატ პატრიკ კლუგმანის განცხადებით, მისმა კლიენტმა გადაწყვიტა, ურთიერთობები დაარეგულიროს საფრანგეთის სასამართლოსთან.

გაიდამაკი ე.წ. ანგოლაგეითის საქმეში მონაწილეობდა.

რუსული მედიისა და სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, არკადი გაიდამაკი საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპარტნიორია. გაიდამაკი და ივანიშვილი ბანკ „რასიისკი კრედიტის" აქციათა პაკეტებს ფლობდნენ. (პირველი რადიო)

# როგორ აპირებენ სოსო ჯაჭვლიანი და ზვიად ტომარაძე „სითი პარკის" მორჯულებას

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა, იურისტ ზვიად ტომარაძესთან ერთად, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა. ახალი კანონპროექტი მოურჯულებელი „სითი პარკისთვის" საჯარიმო სადგომზე ავტომობილების გადაყვანის შეზღუდვას ითვალისწინებს. არადა, პარლამენტმა ერთი ცვლილება კანონში 2015 წლის 29 მაისს უკვე შეიტანა, ფაქტობრივად, „სითი პარკს" ეკრძალებოდა ქუჩიდან ავტომობილების „გატაცება-დაყაჩაღება", მაგრამ ამ ცვლილებებს შედეგი არ მოჰყოლია. თუ პარლამენტი ინებებს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლში შემდეგ ცვლილებებს შეიტანს, ავტომანქანის გადაყვანა ავტოსადგომზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ სატრანსპორტო საშუალება აფერხებს საავტომობილო მოძრაობას, ან ქმნის საცობს. აქ უკვე კონკრეტდება, რომ მხოლოდ საავტომობილო მოძრაობის, და არა ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეფერხების შემთხვევაში უნდა მოხდეს ავტომანქანის გადაყვანა. კანონიდან ხდება წინადადების ამოღება: „თუ ქმნის საავარიო სიტუაციას", რომლის შემთხვევაშიც „სითი პარკს" ჰქონდა ავტომანქანის ევაკუირების შესაძლებლობა. უფრო მარტივად რომ განვმარტოთ: დაუშვებელი იქნება სპეციალურ სადგომზე იმ ავტომანქანის გადაყვანა, რომელიც არღვევს ამკრძალავი ნიშნის – „დგომა-გაჩერება აკრძალულია" ან „დგომა აკრძალულია", მოთხოვნას, მაგრამ არ აფერხებს მოძრაობას და არ ქმნის საცობს.

2007 წლის შემდეგ ლამის მთელი თბილისი ცდილობს მოძიებას, მაგრამ ამ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ვერავინ ნახა და ვერც მისი კომერციული საიდუმლოება ამოვხსენით. თითქოს ელემენტარულია, თუ ავტომობილი არ აფერხებს მოძრაობას, არ ქმნის საცობს და საავარიო სიტუაციას, მძღოლს მხოლოდ არასწორი გაჩერებისთვის ჯარიმა უნდა გამოეწეროს და გააფრთხილონ, მაგრამ 8 წლის განმავლობაში „სითი პარკი" 10-ლარიან ჯარიმასთან ერთად სადგომზე გადაყვანის 60 ლარსაც „გვახევს". ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთ კომპანიას სხვადასხვა წესით აუგებდნენ ანდერძს, მაგრამ ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, რომელსაც 300-ათასიანი მიტინგების დროს ხიდან ფოთლის ჩამოგდებაც არ შეუძლია? როგორც კანონპროექტის თანაავტორი, იურისტი როინ მიგრიაული ამბობს, „სითი პარკი" არის კერძო სამართლის სუბიექტი, რომელსაც რამდენიმე საჯარიმო სანქციის უფლება მიანიჭა მერიამ, მაგრამ კანონით მას არა აქვს უფლება, შეეხოს ვინმეს კერძო საკუთრებას და სადმე გადაიყვანოს, ეს არის სახელმწიფო სტრუქტურის საქმე: „ადმინისტრაციული კოდექსის 125-ე მუხლში წერია, რომ საჯარიმო სადგომზე გადაყვანას ექვემდებარება მიტოვებული ავტოსატრანსპორტო საშუალება. თუკი ავტომობილიდან რამდენიმე წუთით გადახვედი, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ეს არ ნიშნავს მიტოვებას და არავის აქვს უფლება, უაპელაციოდ მოჰკიდოს ხელი შენს საკუთრებას და სადღაც წაიღოს. ეს არის სამართლებრივი განუკითხაობა და ქაოსი. ამიტომაც აუცილებელია, კანონში დაზუსტდეს „სითი პარკისა" და მძღოლის ურთიერთობის წესი, ანუ ზუსტად განისაზღვროს ტერმინები".

კი, მაგრამ, თუკი არ იმუშავა მაისში მიღებულმა ცვლილებებმა, რა გარანტია გვაქვს, რომ იმუშავებს ახალი ცვლილებები? მოდით, ვთქვათ სიმართლე, ეს კოდექსი, რომელიც „სითი პარკს" უამრავ უფლებას აძლევს ჩვენი ჩაგვრის ხარჯზე, ამ კომპანიის მესვეურებმა დაწერეს? არა, ეს დაწერეს ჩვენმა კანონმდებლებმა და თუ რამის გამოსწორება უნდათ, თავიდან უნდა დაწერონ. მაგალითად, 125-ე მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „იმ ავტოტრანსპორტს, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას დგას 12 საათზე მეტი დროით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს".

ახლა ნახეთ, ჩვენ „სითი პარკს" ვაძლევთ უფლებას, პარკირების ნებისმიერ ადგილას გაგვიკეთოს მინიშნება და 12 საათის შემდეგ ავტომობილი გადაიყვანოს საჯარიმო სადგომზე. გარდა ამისა, კანონის მე-6 პუნქტში ახლაც გასაგებად წერია ასეთი რამ: „სპეციალურ სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოტრანსპორტი აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას".

დიახ, ეს ისეთი მუხლია, რომელსაც რაც არ უნდა მიუწერო და გამოაკლო, მაინც ასეთად დარჩება, ვერაფერს უზამ, მაგრამ „სითი პარკი" მაინც თვითნებობს, ის გეუბნება, მკიდია, მე დავინახე, რომ შენი ავტომობილი მოძრაობას აფერხებდაო. შენ რომ შენი სიმართლე დაამტკიცო, სასამართლოში უნდა წახვიდე, სადაც 100-ლარიანი ბაჟი გაქვს გადასახდელი. და მაინც, რის მიღწევას ლამობენ იურისტები და დეპუტატები, როგორ წარმოუდგენიათ უკვე მონსტრად ქცეული კომპანიის დამარცხება, რომლის მესვეურებმა თბილისის მერიაც კი გააჩუმეს?

**„ალიას" უმრავლესობის დეპუტატი, სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრება:**

**— სოსო, კომპანია, რომელსაც ვერავინ ვერაფერი დააკლო და ვერავინ ვერაფერი შეაგნებინა, თქვენ გინდათ, ამ ცვლილებებით მოთოკოთ?**

– ეს „სითი პარკი" რაცაა და როგორც ყაჩაღობს, ვიცით. 2015 წლის მაისში შევიტანეთ ცვლილებები, მაგრამ შედეგი არ მოჰყვა, რატომ, ახლა ზუსტად აგიხსნი: მანდ მკაფიოდ არის განმარტებული, თუ ავტომანქანა გაჩერებულია და არ აფერხებს მოძრაობას, არ უნდა გადაიყვანონ საჯარიმოზე. თუ აფერხებს და გზა მართლა ჩახერგილია, რა თქმა უნდა, გადასაყვანია და დასაჯარიმებელიც. ესენი საქართველოს კანონმდებლობას პატივს არ სცემენ, „სითი პარკი" ყველაფერს სათავისოდ კითხულობს.

**— კანონში ისედაც წერია, რა შემთხვევაში არ აქვთ მანქანის გატაცების უფლება, ეს არ მუშაობს, დაიკიდეს და ახლა რა ცვლილებებსაც შეიტანთ, რა, იმას ველარ დაიკიდებენ?**

– იქ წერია: „თუ არ აფერხებს მოძრაობას", ესენი კითხულობენ – „აფერხებს მოძრაობას". ჰოდა, ჩვენ ახლა გზა უნდა მოვუჭრათ, რომ ასე ველარ წაიკითხონ, ყველაფერი უნდა დავაკონკრეტოთ. ესენი იძახიან, ჩვენი ის კიტრიაო! ჩვენ გვაქვს პრობლემა მენტალობაშიც, ათასობით ადამიანს წაართვეს 60 ლარი და იშვიათად თუ ვინმე ჩივის სასამართლოში. იქ ბაჟია შესატანი, მისვლა-მოსვლაა საჭირო, ნერვიულობა და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ვინც გაასაჩივრა, არც ერთი გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა, ყველამ მოიგო. თუ მოიგებ, ყველაფერი უკან გიბრუნდება. აქ ჩვენ მენტალური პრობლემა გვაქვს, თავის შეწუხება არ გვინდა.

**— მოიცა, როდესაც თქვენ ხელისუფლებაში მოდიოდით, ამაყად აცხადებდით, რომ „სითი პარკი" აქედან მოშორდებოდა. არადა, ისიც კი არ გააკეთეთ, რომ 12-საათიანი დგომის მუხლი გაგეუქმებინათ.**

– სამუშაო დრო არის 8 საათი, ახლა 12 საათი რომ გააჩერებ, ჩვენში დარჩეს, ეს ხომ არანორმალურია?

**— ეგ ყველგან არ მოქმედებს. — ჯერ ერთი არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს ეხება და მეორე — „სითი პარკი" ხვალ სად ამიმოქმედებს, არ ვიცი, კანონში ზოგადად წერია, თბილისის ტერიტორიაზეო.**

– გეთანხმები, კანონი საერთო ჯამში დასახვეწია, რაღაც საკითხები არ არის დაკონკრეტებული და სწორედ ამიტომ იყენებს „სითი პარკი" ყველაფერს სათავისოდ. ერთი ჩემი ახლობლის მანქანა წაიყვანეს საჯარიმოზე, მისი მანქანა არ აფერხებდა მოძრაობას. მეორე დღეს მივიდა, თავისი მანქანა დაქოქა, ვიღაცამ ჯარიმა გადაიხადა, შლაგბაუმი რომ გაიღო, ისიც გამოჰყვა. ერთი დღის შემდეგ აჰყვა პატრული, გააჩერა და აიძულა, 60 ლარი გადაეხადა. რა გამოდის, ესე იგი, ვიღაცები „სითი პარკს" ხელს უწყობენ, ხომ?

**— ჰოდა, ახლა მივადექით მთავარს, ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ თაღლითობასთან, რა ცვლილებებიც არ უნდა მიიღოთ, დიდი შანსია არ იმუშაოს.**

– რა თქმა უნდა, თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, ქაღალდი დარჩება ქაღალდად. სხვანაირად არ შეიძლება, ამ „სითი პარკს" ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავახუროთ ქუდი. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ აქვს ამ კანონის მიღებას.

**— ნარმანია ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და ბოლოს გაჩერდა, მერე თქვა, „სითი პარკს" 40 შეკითხვა გავუგზავნეო, პასუხი ვერ მიიღო და საერთოდ გაჩუმდა. ამ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება არავის არ უნახავს, შენ გაქვს ნანახი?**

– არა, არ მინახავს.

**— ვააა, შენ ხომ დეპუტატი ხარ, მიდი მერიაში, მოითხოვე, წაიკითხე, არ გაინტერესებს, შიგ რა წერია?**

– როცა ჩვენ მოვდიოდით, მაშინ ვთქვით, რომ „სითი პარკი" მოსაშორებელია. მერე ადგილობრივი არჩევნებიც მოვიგეთ და ქალაქის მერიც ავირჩიეთ. ნარმანიამ დაიწყო ამაზე ლაპარაკი. თურმე ისეთი კაბალური ხელშეკრულება ყოფილა დადებული, თუ ამათ გავაძევებთ, მილიონობით ჯარიმას აიკიდებს ჩვენი სახელმწიფო. მე ეს მაინც არ მიმაჩნია სწორად, ამათი დედა ვატირე, ამდენი ადამიანი როგორ უნდა გაამწარონ? აუცილებლად არის პოლიტიკური გადაწყვეტილება მისაღები.

**— არ არსებობს ხელშეკრულება, რომლის გადახედვაც არ შეიძლება. სამწუხაროდ, არ კითხულობთ, შიგ რა წერია. არავითარი კაბალური, მანდ არის ვიღაცების ინტერესები.**

– პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს გაწამებული ხალხის ინტერესები. ზოგს პურის ფული არ აქვს და ახლა მანქანა უნდა დაიხსნას. ვიღაცის ინტერესები რომ არის, სწორედ ამიტომ უნდა შევუტიოთ.

**— ხალხო, დაინტერესდით დეპუტატები, ჩართეთ შესაბამისი კომიტეტი, ჩაიხედეთ ხელშეკრულებაში, შეისწავლეთ, ნახეთ, რატომ გაჩერდა ეს საკითხი. კანონში რაღაცას ჩავწერთ და მორჩა, პრობლემა მოგვარდება? არ გამოდის ასე, ხომ ხედავთ?**

– რა თქმა უნდა, ეს უნდა გავაკეთოთ და იმითაც დავინტერესდებით, მიღებული ცვლილებები აქამდე რატომ არ მუშაობდა, რატომ არ სრულდებოდა. კი, ბატონო, ამას გავაკეთებთ.



**„ერთი ჩემი ახლობლის მანქანა წაიყვანეს საჯარიმოზე, მისი მანქანა არ აფერხებდა მოძრაობას. მეორე დღეს მივიდა, თავისი მანქანა დაქოქა, ვილაცამ ჯარიმა გადაიხადა, შლაგბაუმი რომ გაიღო, ისიც გამოჰყვა. ერთი დღის შემდეგ აჰყვა პატრული, გააჩერა და აიძულა, 60 ლარი გადაეხადა. რა გამოდის, ესე იგი, ვილაცები „სითი პარკს" ხელს უწყობენ, ხომ?"**

# ლონდონის ბირჟაზე „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციები პრემიუმ ლისტინგში განთავსდა






**„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში განთავსდა. ეს არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა არა მარტო ამ ჯგუფისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ლონდონის ბირჟაზე გასვლა ნიშნავს იმას, რომ კომპანიის გამჭვირვალობა, მომსახურების ხარისხი ძალიან მაღალია.**

20 ნოემბერს ლონდონში ჯგუფის აქციების პრემიუმ ლისტინგში განთავსებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც კომპანიების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს მთავრობის წევრები. აღსანიშნავია, რომ ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციები მსოფლიოში ცნობილი ჰოსპიტალური ბრენდების: **NMC Health, Al Noor Hospitals**, **Spire Healthcare**-ის გვერდით განთავსდა. პრემიუმ ლისტინგში მოსახვედრად „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ გამჭვირვალობისა და კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტები დააკმაყოფილა და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ჯგუფის აქციების პირველი ვაჭრობაც შედგა.

**„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ს მართავს. ჯგუფი ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევისა და ჯანდაცვის სერვისების ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია. „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ქართულ ბაზარზე 42 სამედიცინო დაწესებულებით არის წარმოდგენილი, ხოლო „იმედი L“-ი, 6 თვის მონაცემებით, გამომუშავებული პრემიის მოცულობით სამედიცინო დაზღვევის ბაზრის 38 პროცენტს ფლობს.**

– ჩვენი ჯგუფი პირდაპირ პრემიუმ ლისტინგში განთავსდა, სადაც მოთხოვნები და რეგულაციები კიდევ უფრო მკაცრია. პირველ რიგში, უნდა აჩვენო სტრატეგია, სად მიდიხარ და რა ტიპის ზრდას გეგმავ. შენი ფინანსური შედეგები უნდა გახადო საჯარო და გამჭვირვალე, კომპანიის აუდიტს დიდი ოთხეული ახორციელებს. გარდა ფინანსური შედეგებისა, კომპანია ვალდებულია, სწორად შეაფასოს რისკები, რამაც შეიძლება, გავლენა იქონიოს ბიზნესის განვითარებაზე. არის ასეთი ორგანიზაცია **UK ListingAuthority**, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასვლის ნებართვას გაძლევს. ის ერთ-ერთი რეგულატორია, რომელმაც, ფაქტობრივად, „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ თავიდან ბოლომდე შეისწავლა, **– განაცხადა „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ გამყრელიძემ.**




მან აღნიშნა, რომ სწორედ **UK ListingAuthority**-ის დასკვნაა სიგნალი ინვესტორებისთვის, რომ შენში ფულის ჩადება ღირს, რომ გამორჩევი მაღალი ტრანსპარანტულობით, კორპორაციული მართვის მაღალი ხარისხით და საერთაშორისო ბირჟების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებ.

– ასევე, აღსანიშნავია, რომ ლონდონის საფონდო ბირჟაზე მოხვედრაში ძალიან დაგვეხმარა ის გარემოება, რომ ჩვენ თავიდანვე საჯარო კომპანიის „საქართველოს ბანკის“ შვილობილი კომპანია ვიყავით, რომლის აქციებიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე 2006 წლიდან ივაჭრება. ჩვენი ჯგუფი აკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს, რასაც ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსი ე.წ **UK Corporate Governance Code** ითხოვს კომპანიებისგან, – აღნიშნა გამყრელიძემ.

უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ისიც, რომ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსებით 100 მილიონი დოლარის მოცულობის ახალი კაპიტალი მოიზიდა. აქციების ვაჭრობის შედეგად მოზიდული ინვესტიცია „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ კლინიკების ქსელის შემდგომ განვითარებას მოხმარდება, რაც თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურის შექმნას, ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვასა და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას გულისხმობს.

– ჩვენ პირველადი საჯარო შეთავაზებიდან 100 მილიონი დოლარი მოვიზიდეთ, ჯგუფის აქციების შესყიდვით ძალიან ბევრი მსხვილი ინვესტორი დაინტერესდა. ჩვენ ვყიდით სუფთა ჯანდაცვის ბიზნესს, რომელიც მთელ მსოფლიოში საკმაოდ მაღალი ხარისხის შემოსავლებით ხასიათდება და ნაკლებად რეაგირებს მაკროეკონომიკურ ფლუქტუაციებზე. ბოლოდროინდელი კვლევებით მთელ მსოფლიოში ხალხის დაბერების პროცესი საკმაოდ აჩქარდა, შესაბამისად, ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნილება იზრდება. ამ ბიზნესში, ასევე, სწრაფად ვითარდება ახალი და ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიები, ხალხი სამედიცინო სერვისების მისაღებად გარემო პირობებისგან დამოუკიდებლად მაინც დიდ ფულს ხარჯავს, ეს იციან ინვესტორებმა და მათ ჯანდაცვა ძალიან აინტერესებთ, – განაცხადა ნიკოლოზ გამყრელიძემ.

იგი ამბობს, რომ მოზიდული ინვესტიცია ქვეყნის ჯანდაცვის განვითარებას შეუწყობს ხელს და სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. კერძოდ, უახლოეს მომავალში იგეგმება ონკოლოგიური, ლაბორატორიული და პედიატრიული სერვისების გაძლიერება, რაც პაციენტების კმაყოფილების ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

– ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა მკურნალობა საქართველოშივე ჩაიტარონ და კონკრეტული დაავადებებისა და ჩივილების შემთხვევაში საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა საჭირო აღარ იქნება, – აცხადებს ნიკოლოზ გამყრელიძე.

**„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ საქართველოდან უკვე მეორე კომპანიაა, რომლის აქციებიც ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში განთავსდა. ეს არის წარმატებული, სტაბილური და მომავალზე ორიენტირებული ბიზნესის კიდევ ერთი ქართული მაგალითი, რომელიც ქვეყნისადმი უცხოელ ინვესტორთა ნდობასა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან წინაპირობას ქმნის.**

# რა საფრთხეები დაგვემუქრება, თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყო?

## რას შეპირდა მანანა კობახიძე ირმა ინაშვილს?

## რატომ ჩაბარდა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპარტნიორი საფრანგეთის ჟანდარმერიას?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22







„აი, ეს გააკეთეს „რესპუბლიკელებმა" და პირადად თინა ხიდაშელმა, ერთი ქალის კაპრიზს გადააყოლეს ამხელა საქმე და კიდევ ესენი გველაპარაკებიან ევროპელობაზე, დემოკრატიასა და თავისუფალ არჩევნებზე. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს მოხდა ივანიშვილის თანხმობით, ერთი რამ ვიცი, ინაშვილი ისე იყო საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, 2012 წელს არ ყოფილა ივანიშვილი ასეთი დარწმუნებული გამარჯვებაში. რატომღაც მგონია, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკელებმა" აიძულეს და ათქმევინეს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომ ის მხარს უჭერდა თინა ხიდაშელის კანდიდატურას. ეს იყო სტრატეგიული შეცდომა"

დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება ახალი დაპირისპირების ეპიცენტრისკენაა მიმართული, თურქეთმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ადასტურებს, რომ თურქმა საზღვართან მოიერიშე რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, პუტინი ამ გამოწვევას ასე პასუხობს, – თურქებმა ზურგში დაგვარტყეს. რუსეთ-თურქეთი ახალი ომის პირისპირ აღმოჩნდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით თურქეთში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა. თურქულმა სპეცდანიშნულების რაზმებმა სტამბულში მდებარე რუსეთის საელჩოს ალყა შემოარტყა, მიზეზად თურქული მხარის უსაფრთხოების ზომების გამკაცრება სახელდება. ანტიტერორისტული კოალიციის წევრები შოკში არიან, მათ რუსეთის, როგორც მთავარი სამხედრო მოკავშირის, დაკარგვა, ამ შემთხვევაში, ხელს არ აძლევს. ნატომ საგანგებო სხდომა მოიწვია, თბილისის დროით 22 საათზე ბრიუსელში ალიანსის საბჭოს საგანგებო სხდომა ჩატარდება, სადაც დეტალურად იქნება განხილული თურქეთის მიერ რუსული „სუ-24"-ის ჩამოგდების საკითხი. აამოქმედებს თუ არა ნატო მე-5 პუნქტს, რომლის მიხედვითაც ნატო ვალდებულია, დაიცვას მისი მოკავშირე ნატოს წევრი ქვეყანა, ამ საკითხზე პასუხი ცალსახაა, რომ ეს არ მოხდება და საერთოდ, რუსეთ-თურქეთის ომს დაუშვებლად მიიჩნევს ალიანსის თითოეული წევრი. თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყება, ამ შემთხვევაში საქართველო აღმოჩნდება ისეთ რეალობაში, რომელიც ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი არ გვინახავს.

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ალიასთან" ინტერვიუში „ალიას" კითხვაზე, რა საფრთხეები დაგვემუქრება, თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყო, გვპასუხობს:**

– დღეს დასავლეთის მთავარი ამოცანაა ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობამ ხელი არ შეუშალოს რუსეთის ჩართვას დიდ კოალიციაში. მას შემდეგ, რაც ამერიკა 65-ქვეყნიან კოალიციას ჩაუდგა სათავეში, ისლამურმა სახელმწიფომ, პირიქით, გააფართოვა თავისი ტერიტორიები, ააწყო სახელმწიფო სტრუქტურები, შექმნა სამინისტროები, სოციალური სამსახურები, რაც მთავარია, დაიწყო ნავთობის ექსპორტი, მათი შემოსავალი ყოველდღიურად 3 მილიონ დოლარზე მეტია და ეს შემოსავლები დღითი დღე იზრდება. ამიტომ რუსეთის მონაწილეობა, როგორც სამხედრო ძალისა, დასავლეთისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს ახლა გაახსენდათ ყველაფერი, რაც იცოდნენ და ხმას არ იღებდნენ. მაგალითად ის, რომ ერდოღანი პირწავარდნილი დაფარული ისლამისტია, რომ ერდოღანისგან ძალზე დიდი საფრთხე მოდის ისლამიზმის, როგორც ევროპისთვის, ასევე რუსეთისთვის, რომ ისლამური სახელმწიფოს მიერ გაყიდული ნავთობის 90% თურქეთში შედის.**

რუსეთის თვითმფრინავი მუშაობდა იმ ზონაში, სადაც განთავსებული არიან ე.წ. ბაშარ ალ ასადის ზომიერი ოპოზიცია, რომელსაც მხარს უჭერს თურქეთი და მისი მფარველობის ქვეშ არის. მათ ბომბავდა რუსეთის თვითმფრინავი, რომელიც ჩამოაგდეს თურქეთის საზღვართან 4 კმ-ში სირიის ტერიტორიაზე. თვითმფრინავი ჯიპი ხომ არ არის, ადგილზე რომ შეძლოს მოხვევა, მას სჭირდება დიდი წრის შემოვლა. ამ დროს, როგორც რუსები აღიარებენ, დაახლოებით 2 კმ-ით შევიდა თურქეთის საჰაერო სივრცეში, ისიც რამდენიმე წამით და მაშინვე გამოვიდა. როცა უკვე სირიის ტერიტორიაზე იყო, თურქეთის გამანადგურებელმა მაშინ ჩამოაგდო რუსეთის თვითმფრინავი...

**— როგორ ფიქრობთ, ამოქმედდება ნატოს მე-5 პუნქტი — „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის" და რა გადაწყვეტილებას მიიღებს ნატოს შტაბ-ბინა...**

– გამორიცხულია მე-5 პუნქტი ამუშავდეს, ნატოს წევრზე თავდასხმა არ მომხდარა, პირიქით, თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, თვითონ იყო თავდამსხმელი და ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი. თურქეთის მთავრობის პირველი განცხადება იყო, რომ ამოუცნობი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ამას არავინ დაუჯერებთ. ნატოს შტაბ-ბინიდან მოვისმინეთ განცხადება, რომ მდგომარეობა ძალზე სერიოზულია და საჭიროა შეკრება. დღეს არავის აწყობს რუსეთ-თურქეთის ომი, ეს ამბავი დაივიწყეთ და არც მინდა ამის წარმოდგენა...

**— და რა მოხდება, თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყება?**

**— ღმერთმა ნუ ქნას, ეს ყველასთვის კოშმარი იქნება, ამაზე ფიქრიც არ მინდა. თუკი საომარი ფრონტი გაიხსნება, ჩვენ ავუკრძალავთ პუტინს საქართველოდან არ დაიწყოს თურქეთის დაბომბვა, თუ თურქებს ავუკრძალავთ, არ გამოიყენონ რუსეთში შესასვლელად ყველაზე მოკლე გზა — საქართველო? ამ ორ ქვეყანას შორის ყველაზე მოკლე გზა საქართველოა, გავნადგურდებით, თუკი ეს მოხდება, თურქეთთან ომი, ეს არის ნატოსთან ომი, რუსეთს ამის არც სურვილი აქვს, არც შესაძლებლობა და არც თავი... კონფლიქტი დარეგულირდება, თურქეთმა უდროო დრო შეარჩია იმისთვის, რომ დაემტკიცებინა რეგიონალური ლიდერობა და ამით ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნატოს წევრი ქვეყნები.**

დიდი ოცეულის შეხვედრაზე ანტალიაში თითქოს სიტუაცია დაწყნარდა და რუსეთი მოკავშირედ მიიღეს, თანაც მიღწეულია შეთანხმება ამერიკასა და რუსეთს შორის, რომ საჰაერო ინციდენტები არ მოხდეს ახლო აღმოსავლეთსა და სირიის ცაში. ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი დღის თავზე ეს ამბავი მოხდა. ამერიკა, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, არც ერთი არ არის დაინტერესებული, რომ თურქეთის გულისთვის დაკარგონ ისეთი პერსპექტიული სამხედრო მოკავშირე, როგორიც რუსეთია.

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი კი სხვანაირად ფიქრობს, უსაფრთხოების ფორუმზე კანადაში „სირიაში კრიზისის მოგვარების გზაზე რუსეთ-დასავლეთის თანამშრომლობის შესახებ" განაცხადა: ერთი მხრივ, ვაღიარებთ პრობლემებს, რომელსაც რუსეთი ქმნის, ვამბობთ, რომ ის პროგნოზირებადი პარტნიორი არ არის და არის ოკუპაციური ძალა, დამპყრობელი, ამ დროს მასთან ერთად დიალოგისა და თანამშრომლობის გზით ვეძებთ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. ამბობს, რომ რუსეთი აგრესორია, თუმცა მაინც დაახლოებას ითხოვს.**

– თავდაცვის მინისტრს რომ ჰკითხო, რუსეთის გარეშე შეუძლია დასავლეთს კუდით ქვა ასროლინოს ისლამურ სახელმწიფოს. დასავლეთს ურჩია, რუსეთი არ გინდათ მოკავშირედო, მაგრამ მას ვურჩევდი, რომ თავის საქმეებს მიხედოს, იმდენი იმუშაოს, თავი მოიკლას და 2016 წლის გაზაფხულზე ვარშავაში მაპ-ი მაინც მოგვცენ, მაგრამ მანამდე არაფერი გეტკინოთ, ნატომ მაპ-ი არ მოგვცეს... ხიდაშელის ოცნებაა, მისი მინისტრობის პერიოდში მოხდეს გარღვევა და საქართველოს მიენიჭოს მაპ-ი. ხიდაშელს ჯერ არაფერი გაუკეთებია, საწვრთნელი ცენტრი მიშას დროს გაიხსნა, ასოცირების ხელშეკრულება საგარეო უწყებამ და პრემიერმა ჩაიწერეს თავის აქტივში, ვიზალიბერალიზაციასაც დიპლომატები ჩაიწერენ და თუკი თინა ხიდაშელი მიაღწევს მაპ-ის მოპოვებას, ეს იქნება სამხედრო თვალსაზრისით თინასთვის ტრიუმფალური გამარჯვება.

**— ამ მძიმე ვითარებაში 15 დეკემბერს ფიქრობთ, რომ ვიზალიბერალიზაციას მოგვანიჭებენ?**

– კი, მოგვცემენ, ძლიერდება პრორუსული განწყობები მოსახლეობაში და ეს პროცესი შეუქცევადი გახდა. აღმოსავლური პარტნიორობის 26 ქვეყნიდან პრაქტიკულად ჩვენღა შევრჩით, მოლდოვაში საშინელი კრიზისია, ვიზალიბერალიზაცია რომ არ მოგვანიჭონ, მაშინ გამოვა, რომ აღმოსავლური პარტნიორობის პროექტში მილიარდები ფუჭად გადაყარეს. მოგვცემენ ვიზალიბერალიზაციას სწორედ იმიტომ, რომ არ გაძლიერდეს პრორუსული ვექტორი საქართველოში.

**— საფრანგეთში რუსი ბიზნესმენი არკადი გაიდამაკი თავის ფეხით ჩაბარდა ჟანდარმერიას. ის ბრალდებული იყო სკანდალურ „ანგოლაგეითის" საქმეში, გავრცელებული ინფორმაციით ფრანგულმა სასამართლომ მას დაუსწრებლად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით გაიდამაკსა და მის თანამზრახველებს ბრალად ედებათ რუსული იარაღის მიყიდვა ანგოლელი დიქტატორის სანტოსოს რეჟიმისთვის და მილიონობით დოლარის გათეთრებაში. ამ საქმეში მოიხსენიებენ ბიძინა ივანიშვილსაც. როგორ ფიქრობთ, ფრანგული მართლმსაჯულება მისწვდება ბიძინა ივანიშვილს?**

– თქვენ კარგად იცით, რომ კონსპირაციული თეორიებით საუბარი არ მიყვარს, საფრანგეთის კი არა, ჩვენი გამოძიების ვერაფერი გამიგია და არ ვიცი, რა ხდება, თითქოს მადრიდის სამეფო კარის საიდუმლოებასთან გვქონდეს საქმე. ერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ საფრანგეთის გამოძიება (როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს), ეს არ იქნება ერთ კვირაში დასრულებული საქმე და შეიძლება მას თვეები და წლებიც დასჭირდეს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი იქნება საფრანგეთში საერთო სიტუაცია, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ფრანგული მართლმსაჯულება ძალზე ეფექტური, ობიექტური და დაუნდობელია. ასე რომ, ახლა პროგნოზების გაკეთება ნაადრევია. არც გაიდამაკია ისეთი ჩიტი, რომ ისე ჩაბარებულიყო ფრანგულ ჟანდარმერიას, რომ არ ჰქონოდა რაიმე გეგმა. ძვირად ღირებულ ადვოკატებთან არ გაევლო კონსულტაციები. როგორც ჩანს, მას დაცვის სტრატეგია შემუშავებული აქვს და ისე ჩაბარდა. 30-წლიან სასჯელზე გაიდამაკი თავისი ფეხით არ წავიდოდა. იარაღით უკანონო ვაჭრობა საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით ათწლეულობით სასჯელს ითვალისწინებს, რასაკვირველია, სერიოზული პრობლემაა და ივანიშვილისთვის ეს პრობლემა საჩუქარი არ იქნება.

**— და კიდევ ერთი მთავარი ამბავი — „პატრიოტთა ალიანსმა" შიმშილობა შეწყვიტა, პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან შეხვედრის შემდეგ ირმა ინაშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობა თანახმაა, საარჩევნო კანონში შესატან ცვლილებებზე იმსჯელოს, თუმცა ინაშვილმა ულტიმატუმი წაუყენა, რომ, თუკი გაზაფხულამდე საარჩევნო ცვლილებები არ მოხდება, ფართომასშტაბიან აქციებს მოაწყობენ. ამ საკითხზე რას ფიქრობთ?**

– მმართველი გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ინტერესი ამ სკანდალთან დაკავშირებით ნულამდე დაიყვანოს. ისე კი, რასაკვირველია, ეს იყო კოლოსალური შეცდომა „ქართული ოცნების", როგორც კი ამ სკანდალზე წავიდა. სწორი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას შუალედურ არჩევნებში საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა, განსაკუთრებით კი საგარეჯოში. ერთი მანდატი მათ არაფერს მატებდა, სამაგიეროდ, ხელისუფლება იტყოდა, – ვინც ფიქრობს, გამოვიყენებ არჩევნებში ადმინისტრაციულ რესურსს და გავაყალბებ, საერთოდ არ მივიღებ მონაწილეობას და ამ ადგილს ვუთმობ ოპოზიციას. ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს დაჭამდნენ და ეს იქნებოდა სტრატეგიულად, ზუსტად გათვლილი ეფექტური სვლა ხელისუფლების მხრიდან. არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთობა ზღაპრად იქცეოდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, ხელისუფლება აღმოჩნდებოდა მომგებიან მდგომარეობაში. ნუთუ არ ჰყავს ხელისუფლებას ორწიგნწაკითხული ექსპერტი, ეს რომ ერჩია? მაგრამ შეიძლება კიდეც ჰყავთ და ერთი ქალის კაპრიზმა გადაწონა ეს ამბავი, რასაც მისი ქმრის სისუსტე დაემატა. ვიცნობ დავით უსუფაშვილს, ჭკვიანი კაცია და ვერ დავიჯერებ, რომ ამ საფრთხეს ვერ გრძნობდა. მისი ცოლი ადვილად ვერ გაიმარჯვებდა, ადვილად კი არა, საერთოდ ვერ გაიმარჯვებდა. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ „ქართული ოცნებიდან" პატიოსან არჩევნებში ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, არათუ თინა ხიდაშელი. ასე რომ, ეს იყო ხიდაშელის კაპრიზი. ინაშვილი რომ კერკეტი კაკალი გამოდგებოდა, ეს სავარაუდო არ იყო, ძალიან ძვირად დაუჯდებათ ეს გამარჯვება, ამ ფაქტმა დააფრთხო და გამოაფხიზლა მთელი არასაპარლამენტო ოპოზიცია, მათ კიდევ ერთხელ დაინახეს, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არაფერი შეცვლილა და შუალედური არჩევნები გაკვეთილია ისეთი არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის, ორკაციანი პარტიის ლიდერები რომ არიან. ვისაც შემორჩა სალი აზრი, თავისი ამბიციები უნდა გადადონ, გაერთიანდნენ და ერთი ლიდერი აირჩიონ. ამ ფორმატში უნდა მიიღონ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. აი, ეს გააკეთეს „რესპუბლიკელებმა" და პირადად თინა ხიდაშელმა, ერთი ქალის კაპრიზს გადააყოლეს ამხელა საქმე და კიდევ ესენი გველაპარაკებიან ევროპელობაზე, დემოკრატიასა და თავისუფალ არჩევნებზე. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს მოხდა ივანიშვილის თანხმობით, ერთი რამ ვიცი, ინაშვილი ისე იყო საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, 2012 წელს არ ყოფილა ივანიშვილი ასეთი დარწმუნებული გამარჯვებაში. რატომღაც მგონია, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკელებმა" აიძულეს და ათქმევინეს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომ ის მხარს უჭერდა თინა ხიდაშელის კანდიდატურას. ეს იყო სტრატეგიული შეცდომა.

## აფერუმ, სახელმწიფო აუდიტს — სხვის ხარჯებსა და პრემიებს ითვლის, საკუთარზე კი კრინტს არ ძრავს




სახელმწიფო აუდიტ ლაშა თორდიას მოადგილე ვახტანგ კეჟერაძეს ყველა მინისტრზე და თავის ხელმძღვანელზეც მაღალი ხელფასი აქვს.

ვახტანგ კეჟერაძე სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებს. მისი ყოველთვიური ანაზღაურება 7 ათასი ლარია. 2015 წელს იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, ანუ 10 თვის მანძილზე მან ხელფასის სახით 70 ათასი ლარი აიღო, სექტემბერში კი პრემიის სახით – 4 500 ლარი. საერთო ჯამში, კეჟერაძის ანაზღაურებამ 74 500 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა 10 500 ლარით მეტია გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას მიერ იმავე პერიოდში (2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით) აღებულ ხელფასზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, მთავარი აუდიტორის ყოველთვიური ანაზღაურება 5 950 ლარია. 10 თვეში მას 59 500 ლარი აქვს აღებული.

კითხვით მივმართეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რა საქმიანობას ახორციელებს ვახტანგ კეჟერაძე, მას მთავარ აუდიტორზე 1 050 ლარით მეტი ანაზღაურება რომ აქვს ყოველთვიურად, რაზეც გვითხრეს, რომ პასუხს ელექტრონულად მოგვწერდნენ (თუმცა არ მოუწერიათ). ამასთანავე, მიგვითითეს, რომ კეჟერაძის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მათ ვებგვერდზე მოგვეძიებინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის უფროსიც ვახტანგ კეჟერაძეა, ამოწმებს აუდიტის დაგეგმვის, პროცესებისა და პროცედურების ხარისხს, განაზოგადებს საუკეთესო პრაქტიკას და ავლენს იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

ვახტანგ კეჟერაძის საქმიანობა საზოგადოების ყურადღების ქვეშ 2012 წელს მოექცა, როცა კონტროლის პალატამ, წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების" მომხრეების დაჯარიმება და მათი ქონების მასობრივი დაყადაღება დაიწყო. ვახტანგ კეჟერაძის გვარი ფიგურირებს კონტროლის პალატის მიერ წარმოებულ საქმეში. კონტროლის პალატის მიერ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, ივანიშვილმა 2012 წელს კუთვნილი კომპანიების „ბურჯისა" და „ელიტა ბურჯის" სახელზე 239 ავტომობილი დაარეგისტრირა, შემდეგ კი ეს ავტომანქანები „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს" უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ. კონტროლის პალატის მტკიცებით, ივანიშვილმა ამ აქტით პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ 2 მლნ 242 ათას 994 ლარის უკანონო შემოწირულობა განახორციელა. მაშინ საქალაქო სასამართლომ უკანონო შემოწირულობების განხორციელების მოტივით ბიძინა ივანიშვილი 20 243 827 ლარით დააჯარიმა. სარჩელი, რომლითაც ივანიშვილის ადვოკატები შალვა თადუმაძე და ალექსანდრე ბარამიძე საქალაქო სასამართლოს 11 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდნენ, მოსამართლე ნათია ქუთათელაძემ განიხილა. საქმის მოსმენას ესწრებოდნენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები გიორგი ამირანაშვილი და ვახტანგ კეჟერაძე.

– ჩვენ ვთვლით, რომ სცდება გონიერების ჩარჩოებს, როცა პირს დაახლოებით 4 მილიონი ვალი აქვს, ამ დროს ბანკიდან გააქვს ნაღდი ფული და ჩუქნის პირველი რიგის მემკვიდრეს. ეს ნიშნავს, რომ ის ცდილობს, არაკანონიერი გზით დააფინანსოს პოლიტიკური პარტიები, – სააპელაციო სასამართლოში ასე შეეცადა საკუთარი პოზიციის დაცვას აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი ვახტანგ კეჟერაძე. (ipress.ge)

## პაველ ფელგენგაუერი — შესაძლოა, რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყოს



რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი არ გამორიცხავს, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს. ეს განცხადება მან ტელეკომპანია „დოჟდთან" გააკეთა, როდესაც თურქების მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის „სუ-24"-ის ჩამოგდების შესახებ საუბრობდა.

„ეს დაკავშირებულია თურქმენების დაცვასთან. ამასთან დაკავშირებით თურქებს უკვე დაბარებული ჰყავდათ ჩვენი ელჩი, მოიწვიეს უშიშროების საბჭოც, რადგან რუსული ავიაცია ბომბავს თურქმენებს, რომლებიც, როგორც ოპოზიციის ნაწილი, იბრძვიან ასადის რეჟიმის წინააღმდეგ. თურქეთმა განაცხადა, რომ ეს აბსოლუტურად მიუღებელია და ისინი თურქმენებს დაიცავდნენ.

ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ თურქეთი, ჩრდილოეთ სირიაში, აწესებს რუსული ავიაციისთვის აკრძალულ ზონას, რომელსაც დაიცავს. ანუ ჩამოაგდებს რუსულ თვითმფრინავებს, თუ ისინი ამ ზონაში შემოფრინდებიან.

რუსმა სამხედროებმა, თავის მხრივ, ან უნდა აღიარონ თურქეთის უფლება, ჩამოაგდონ ჩვენი თვითმფრინავები, თუ თურქმენების კონტროლირებად ზონას მიუახლოვდნენ, ან საერთოდ თურქეთის საზღვრის გაყოლებაზე გაიფრინეს, ან დაიწყონ ბრძოლა თურქეთთან.

ალბათ, უფრო ბრძოლას დაიწყებენ. ანუ შესაძლებელია, ვიხილოთ საჰაერო ბრძოლები, სადაც რუსული თვითმფრინავები თურქულებთან იბრძოლებენ, რათა დაიცვან ჩვენი ბომბდამშენები. შესაძლებელია, საზღვაო ბრძოლებიც თურქეთისა და რუსეთის ფლოტებს შორის. შესაძლებელია კონფლიქტის ფარგლებში თურქებმა ბოსფორის სრუტე ჩაკეტონ და ნატოს წევრები ჩართონ. ასეთ კონფლიქტში რუსეთს ძალიან პატარა შანსები აქვს, თუ ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს", – განაცხადა ფელგენგაუერმა.

შეგახსენებთ, რომ რუსული ბომბდამშენი „სუ-24" თურქეთმა ჩამოაგდო. თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა რუსული „სუ-24"-ის ფრენის მარშრუტი, რომელშიც ჩანს, როგორ დაარღვია რუსულმა ბომბდამშენმა თურქეთის საჰაერო სივრცე.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „სუ-24"-მა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. (news.ge)

# „ლიბერთი ბანკმა" პედაგოგები დააჯილდოვა




მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და „ლიბერთი ბანკის" მხარდაჭერით საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია გაიმართა.

აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია, სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციის ფარგლებში „ლიბერთი ბანკის" დირექტორმა არმენ მატევოსიანმა **Gift card**-ით დაასაჩუქრა კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები, რომლებმაც საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციების შესახებ საუკეთესო ნაშრომები წარმოადგინეს.

„ლიბერთი ბანკთან" ერთად წლევანდელი კონფერენციის პარტნიორები „ინტელი", „მაიკროსოფტი", „ესაბი" იყვნენ და ღონისძიებაში 250-მა პედაგოგმა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტმა და ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.



## ა, ბატონო, ვისაც გეამებათ მიშას მოლოცვა, გილოცავთ ვაჟბატონი, ჩვენ კი აი, რას ვფიქრობთ...



ექსპრეზიდენტი „ვარდების რევოლუციის" 12 წლისთავს „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე ეხმაურება და წერს:

– 2003 წლის 23 ნოემბერს გაიმარჯვა „ვარდების რევოლუციამ". ნამდვილი რევოლუციური ცვლილებების დასაბამი კი 2004 წლის დასაწყისი გახდა. საქართველო არშემდგარი სახელმწიფოდან გადაიქცა შემდგომი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით სწრაფი გარდაქმნის ყველაზე წარმატებულ მაგალითად. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო იქცა მსოფლიოს ნომერ პირველ რეფორმატორად, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით გადაინაცვლა მსოფლიოში 127-ე ადგილიდან მე-8 ადგილზე (ამ რეიტინგში დღეს უკრაინა 82-ე ადგილზეა), საგადასახადო წნეხის სიმსუბუქით საქართველო იყო მეოთხე ადგილზე (უკრაინა 137-ზეა). თუ 2003 წელს ქართველების 80% გამოკითხვებში ამბობდა, რომ შეხება ჰქონდა კორუფციასთან, 2012 წელს ეს მონაცემები 2%-ზე ქვემოთ ჩამოვარდა, ამ წლებში საქართველოს ბიუჯეტი ათჯერ გაიზარდა, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელი 50%-დან 20%-მდე შემცირდა. ასევე, სამჯერ შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. საქართველომ მიიღო ახალი დროშა, ჰიმნი და ახალი საპარლამენტო დედაქალაქი. ქვეყანაში აშენდა პრაქტიკულად ახალი ქალაქები, შეიქმნა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინფრასტრუქტურა, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა ასი ათასიდან ექვს მილიონამდე. შეიქმნა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პოლიცია, მსოფლიოს ყველაზე სწრაფი საბაჟო, ძირფესვიანად შეიცვალა განათლების სისტემა. მიუხედავად გავრცელებული მითებისა, სწრაფი განვითარება მოხდა არა მხოლოდ 2008 წლამდე, არამედ განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ (საგადასახადო-საბაჟო რეფორმა, იუსტიციის სახლები, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, ინგლისური ენის სწავლებისა და კომპიუტერიზაციის პროგრამები).

აი, ეს არის რამდენიმე მონაცემი საქართველოს მიერ უახლეს ისტორიაში მიღწეული ყველაზე სწრაფი პროგრესისა. ამასთანავე, ეს ყველაფერი ხდებოდა მუდმივი საგარეო აგრესიის, პროვოკაციებისა და გაშავების მუდმივი მცდელობის ფონზე. საქართველომ პირველად თავის თავზე მთელი სისასტიკით გამოსცადა ჰიბრიდული ომი – აი, ასეთია ფაქტები, დანარჩენი არის ლირიკა და ერთი ავადმყოფი რუსი მილიარდერის ახირებებისა და რუსული პროპაგანდის შტამპების გავლენის ქვეშ მოყოლის სამწუხარო შედეგები. ამ შედეგების ბრალია, რომ პატარა საქართველო, რომელიც 2012 წლამდე მნიშვნელოვანი რეგიონალური მოთამაშე და ანგარიშგასაწევი მსოფლიო ფაქტორი იყო, პრაქტიკულად გაქრა საერთაშორისო რადარებიდან. ეს მნიშვნელოვან გაკვეთილად უნდა იქცეს ჩვენთვის.

გილოცავთ გიორგობასა და ვარდების რევოლუციის წლისთავს. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! – წერს სააკაშვილი. (პირველი რადიო)

**კაცმა რომ თქვას, რაღაც-რაღაცებში მიშა შესაძლოა, მართალიც იყოს, მაგრამ მთავარი კითხვა ავიწყდება პატივცემულს — რის ხარჯზე მოხდა ეს ყველაფერი?!**

**ჰო, „გაიშნიკები" შეცვალა პატრულმა. ჰო, ქრთამად აღარ იღებენ 1 ლარს, 2 ლარს, ჰა, ჯანდაბას — 10 ლარს, მაგრამ სამაგიეროდ, მიშამ ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის დააწესა 100 ლარი, ღვედის არგამოყენებისთვის — 80 ლარი. კი, ბატონო, კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს, ამაზე არ გედავებით, მაგრამ ხომ არ უნდა გაკოტრდეს?! ბიზნესის კეთების სიმარტივითაც დაწინაურებული იყო საქართველო, მაგრამ ამ მარტივად დაწყებულ ბიზნესს რომ ახევდნენ საქმოსნებს, ამას რა დაგვავიწყებს?!**

**არც ის დაგვავიწყდება, შენობების ფასადებს რომ ღებავდა მიშა, მით უმეტეს, იმ ტერიტორიაზე, სადაც მნიშვნელოვან უცხოელ სტუმარს უნდა გაევლო...**

**მოკლედ, ვისაც მიშასთან ერთად გამარჯვების სურვილი გაქვთ, აბა, თქვენ იცით, წინ დაჯექით, წინ!..**



## გურამ ნიკოლაიშვილი: საქართველოს არ გააჩნია ისეთი ფუფუნება, რომ 145 მილიონი ლარი მიდიოდეს სამშვიდობო ოპერაციებზე



გენშტაბის ყოფილი უფროსი გურამ ნიკოლაიშვილი:

– ჩვენი ერთადერთი ფუნქცია დღეს არის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა. თანაც, ავღანეთში თითქმის 1000 კაცია წასული. ჩვენი ჯარიდან და რაოდენობიდან გამომდინარე, პირველები ვართ იმ კონტინგენტით, რაც გაგზავნილი გვყავს. ვფიქრობ, რომ საქართველოს ამის საშუალება არ აქვს. თუ ამ ადამიანებს მისიებში გავგზავნით და ჩვენ აქ ჯარი არ გვეყოლება, ვფიქრობ, რომ ასეთი ჯარის არსებობას აზრი არ აქვს. ასეთივე ფუნქციებს, ავტომატით ხელში პოლიციაც შეასრულებს.

საქართველოს არ გააჩნია ისეთი ფუფუნება, რომ 145 მილიონი ლარი მიდიოდეს სამშვიდობო ოპერაციებზე. მხოლოდ სწრაფი რეაგირების ასეულის მომზადებაში დაიხარჯა თითქმის 5 მილიონი ლარი. ეს ასეული უნდა შეუერთდეს სწრაფი რეაგირების კორპუსს გერმანიაში და მასთან ერთად მიიღოს სადღაც რაღაც მისიაში მონაწილეობა. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა ჩვენთვის არის მეორეხარისხოვანი. თავდაცვის სამინისტროს ფუნქცია არის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და არა სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.

როგორ ფიქრობთ, ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები საბრძოლო ფუნქციებს ასრულებენ? ისინი საკომენდანტო ფუნქციებს ასრულებენ, იცავენ ობიექტებს. ამიტომ, არ ვფიქრობ, რომ ამ ოდენობით უნდა მიდიოდნენ ჩვენი ჯარისკაცები იქ და უმჯობესია, აქ გამოგვადგნენ. (რეპორტიორი)

## ეგვიპტეში, სასტუმროში მომხდარ აფეთქებას 4 ადამიანი ემსხვერპლა




ეგვიპტეში სინაის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით ადგილობრივ სასტუმროზე ბოევიკების თავდასხმის შედეგად ოთხი ადამიანია გარდაცვლილი და 12 დაშავებული.

„ბიბისის" ინფორმაციით, თავდასხმა სასტუმრო **„Swiss Inn"**-ზე განხორციელდა, რომელიც ზღვისპირა ქალაქ ელ-არშირში მდებარეობს.

ეგვიპტის ხელისუფლების ინფორმაციით, დანაღმული ავტომანქანა, რომელსაც თვითმკვლელი ტერორისტი მართავდა, შენობასთან მიახლოებას შეეცადა, მაგრამ პოლიციამ და დაცვამ მას ცეცხლი გაუხსნა, რის შემდეგაც აფეთქება მოხდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ორმა ბოევიკმა, რომლებმაც სასტუმროში შეღწევა მოახერხეს. ერთ-ერთმა მათგანმა მოქმედებაში მოიყვანა დანაღმული ქამარი, მეორე დამნაშავე კი სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში შევარდა და იქ მცხოვრები მოსამართლე მოკლა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა უკვე აუღო დაჯგუფებამ, რომელიც საკუთარ თავს „ისლამური სახელმწიფოს" სინაის განშტოებას უწოდებს. (ინტერპრესნიუსი)



## ამდენი შეუსრულებელი დაპირების შემდეგ თუ თქვენ კიდევ ,,ოცნების'' გჯერათ და... ნეტარ არიან მორწმუნენიო, ქალბატონო ირმა...



„პატრიოტთა ალიანსმა" შიმშილობა შეწყვიტა. გადაწყვეტილება ირმა ინაშვილმა პარლამენტის ვიცე-სპიკერთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. შეხვედრა დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა.

– ვფიქრობ, მივაღწიეთ იმ შეთანხმებას, რომ მოშიმშილეები შიმშილობას შეწყვეტენ, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

ინაშვილის თქმით, თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება „პატრიოტთა ალიანსი" შიმშილობასა და საპროტესტო აქციებს გაზაფხულიდან განაახლებს.

– ჩვენი მთავარი მოთხოვნა უკავშირდებოდა და უკავშირდება ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლას. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ხელისუფლება აღარ გაიმეორებს საგარეჯოს არჩევნების მაგალითს და 2016 წლის არჩევნები ჩატარდება თავისუფალ გარემოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ავცდებით ვერც შიმშილობას, ვერც საპროტესტო აქციებს, რაც გაზაფხულიდან აუცილებლად დაიწყება, – აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ამ ეტაპზე აქციების ჩატარებას არ გეგმავს.

– ჩვენ ვნახეთ, რომ შედგა პირველი შეხვედრა, ანუ იყო რეაგირება, შესაბამისად, ვიმსჯელებთ იმაზე, ჩავატაროთ თუ არა ეს აქცია. ახლა ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, დაიწყოს მუშაობა ამ ცვლილებების განხორციელებაზე, აქციების ორგანიზება პრობლემა არ არის მაშინ, როცა ამის საჭიროებაა, – განაცხადა ირმა ინაშვილმა. (ნიუპოსტი)

## თურქული მედიის მტკიცებით, ჩამოგდებული ,,სუ-24''-ის ორივე პილოტი ცოცხალია



თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ ჩამოგდებული რუსული „სუ-24"-ის ეკიპაჟის ორივე წევრი ცოცხალია და სირიელ ამბოხებულებთან იმყოფება. ამის შესახებ „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე „სიენენის" თურქეთის ბიურო საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს.

– ამ დროისთვის მიმდინარეობს ძალისხმევა მფრინავების გასათავისუფლებლად, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ამის პარალელურად, „სკაი ნიუსი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავის ორივე პილოტი გარდაცვლილი იპოვეს. (ინტერპრესნიუსი, ნიუპოსტი)



## შტაინმაიერი — რუსეთის თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებულმა ვითარებამ სირიის პრობლემის დარეგულირების საკითხი შესაძლოა, უკან დახიოს



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის განცხადებით, რუსეთის თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებულმა ვითარებამ სირიის პრობლემის დარეგულირების საკითხი შესაძლოა, უკან დახიოს.

– ეს სერიოზული შემთხვევაა. ამან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ არა მხოლოდ უკან გადავდგამთ ნაბიჯს სირიის საკითხის დარეგულირებაში, არამედ იმ იმედის ჩრდილიც კი დაინგრევა, რაც აქამდე არსებობდა, – აღნიშნა შტაინმაიერმა.

იგი იმედოვნებს, რომ ორივე ქვეყნის დედაქალაქებში კეთილგონიერება გაიმარჯვებს. (ინტერპრესნიუსი)

## კადიროვმა, თურქეთთან ომისთვის მზად ვართ



ჩეჩნეთის მეთაურის რამზან კადიროვის თქმით, თურქეთი თავის ქმედებების გამო ინანებს. აღნიშნული განცხადება კადიროვმა თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების კომენტირებისას გააკეთა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ თურქეთი ძალიან დიდხანს ინანებს ამ ქმედების გამო. ისინი, ვინც მეგობრობაზე და თანამშრომლობაზე საუბრობენ, ასე მზაკვრულად არ იქცევიან, – განაცხადა კადიროვმა.

მისივე თქმით, ჩეჩნეთის რესპუბლიკა და ჩეჩენი ხალხი მზადაა, ვლადიმერ პუტინის ნებისმიერი ბრძანება და ნებისმიერი სირთულის განკარგულება შეასრულოს:

– თავს მოვალედ მივიჩნევ, ვთქვა, რომ პირადად მე, ჩეჩნეთის რესპუბლიკა და ჩეჩენი ხალხი მზად ვართ, ნებისმიერი ბრძანება და ნებისმიერი სირთულის განკარგულება შევასრულოთ. ჩვენ გვაქვს ამის ნება, შესაძლებლობა, კარგად მომზადებული ძალა და ათასობით მოხალისე. ჩვენ ველოდებით ბრძანებას. თქვენ ნახავთ, როგორ ასრულებენ ბრძანებას რუსეთის ჭეშმარიტი პატრიოტები, – განაცხადა ჩეჩნეთის მეთაურმა. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რატომ დაუწუნა საკრებულომ მერიას 2016 წლის ბიუჯეტი? 2015 წლის ბიუჯეტის რა პუნქტები ვერ შეასრულა მერიამ და რა რეკომენდაციით მიმართავს თბილისის მთავრობას არასამთავრობო სექტორი?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– თბილისის ბიუჯეტზე გეწერათ, მაგრამ საინტერესო ინფორმაციები მოვიპოვეთ. გეცოდინებათ, 2016 წლის თბილისის ფინანსური პროექტის დოკუმენტი, საკრებულოს, მერიამ უკან დაუბრუნა და შესასწორებლად, ვადა 10 დეკემბრამდე მისცა. ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესდა, რა გახდა ბიუჯეტის პროექტის უკან დაბრუნების მიზეზი და ისეთი პუნქტები აღმოაჩინა, რაც კრიტიკასაც კი ვერ უძლებს.

**— და რა იყო მიზეზი?**

– ბიუჯეტში, არსად არ არის გაწერილი, რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას აპირებს მერია, რეალურად, რაში აპირებს ამ თანხების დახარჯვას და ა.შ.

**— რაში აპირებს?**

– პირველი ასეთი მიზეზი, ჩვენი ინფორმაციით, აღმოჩნდა, რომ განხორციელებულია სახელფასო მატება. მარტო საკრებულოს 265 თანამშრომელს ხელფასი ეზრდება და ჯამური თანხა შეადგენს 240 ათას ლარს. რაც შეხება თბილისის მერიის ადმინისტრაციას, სადაც 229 ადამიანი მუშაობს, 902 ათასით იზრდება ხელფასი. გამგეობებში, ეს მატება მერყეობს 200-დან 400 ათასამდე. ძალიან ზედმეტი მოუვიდათ და საკრებულომ ამიტომ დააბრუნა უკან.

ყველაზე დიდი ხარვეზები, ბიუჯეტის პროექტში, მაინც შესყიდვებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში გვხვდება.

**მაგალითად, საკრებულო, ითხოვდა, რომ 2015 წელს მერიას დაეფინანსებინა მრავალსართულიანი ავტოსადგომების პროექტირება და მშენებლობა თბილისის ცენტრში. ამისთვის, მერიამ საკრებულოს მოსთხოვა მილიონ-ნახევრის გამოყოფა. ნახევარი მილიონი პროექტირებისთვის, ხოლო ერთი მილიონი ამ მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობისთვის. ანუ მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა აშენებულიყო მიწისზედა ან მიწისქვეშა ავტოსადგომი, რაც ასე თუ ისე განმუხტავდა ავტომობილებთან დაკავშირებულ პარკირების პრობლემას. აღნიშნული მრავალსართულიანი ავტოსადგომი არ აშენებულა და მომავალი წლის ბიუჯეტიდან, ეს პუნქტი, საერთოდაც ამოღებული და გამქრალია. გაურკვეველია ამ მილიონ-ნახევარი ლარის ბედიც.**

გარდა ამისა, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან მერიამ მოითხოვა 9 მილიონი ლარი. უნდა განხორციელებულიყო 7 პროექტი. მათგან სამი უნდა ყოფილიყო აღდგენითი, ხოლო 4-ს უნდა ჩატარებოდა კაპიტალური გამაგრება. დღეს, რეალურად, ასეთი ვითარებაა – თვეებია მიმდინარეობს და არავინ იცის, როდის დასრულდება ბარათაშვილისა და გლდანის ხიდების რეაბილიტაცია და ერთადერთი ხიდი, რომლის სრული რეაბილიტაციაც მოხდა მთელი წლის განმავლობაში, ეს არის ვეფხვი და მოყმის ტერიტორიაზე მდებარე, ელიავას ქუჩისკენ მიმავალი ხიდი. ეს 9 მილიონიც ვერაა ათვისებული და ამ თანხის ბედიც, ასევე, სავალალოა. შევხედოთ, რა ხდება 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში – მომავალი წლის ბიუჯეტით, მერია ამავე საკითხისთვის ითხოვს დამატებით 17 მილიონს. 9 მილიონი ვერ აითვისა ამ წელს და შემდეგ წელს როგორ აპირებს გაორმაგებული თანხების ათვისებას, ეს დიდ გაუგებრობას იწვევს.

გარდა ამისა, მერიის ადმინისტრაციამ, 2015 წლის ბიუჯეტში მოითხოვა თანხა საახალწლო ილუმინაციებისთვის – კერძოდ, შეძენა, მონტაჟი და რეაბილიტაციისთვის – 1 მილიონ 310 ათასი ლარი. კერძოდ, მონტაჟისთვის ითხოვდა 600 ათას ლარს, რომელიც, დღეს რომ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული შპს „სინათლის ქალაქთან“, შეფასებულია 7 ათასით. რაც შეხება ილუმინაციების შეძენას, რომლებიც ნახევარი მილიონად იყო შეფასებული, როდესაც ბიუჯეტის ფორმირება მოხდა, ხელშეკრულება გაფორმებულია 740 ათასზე. ანუ 140 ათასი ლარი უკვე ზედმეტი დანახარჯი აქვს მერიას. ასევე, 210 ათასზე, რაც მერიას ჰქონდა მოთხოვნილი და საკრებულოსგან დასტური მიღებული, არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს, არც იმის წინაპირობა ჩანს სადმე, რომ მისი ხარჯვა იგეგმებოდეს.

გავიგეთ, რომ წელს 740 ათასად მერიამ იმიტომ შეიძინა ახალი ილუმინაციები, რომ ამის საჭიროება იდგა რაღაც დოზით. ასე ახსნა მერიამ. მომავალ წელს მერიას კიდევ აქვს 150 ათასი ლარის ილუმინაციების შეძენაზე მოთხოვნა. ანუ, საერთო ჯამში, ქალაქის საახალწლო მორთვამოკაზმისთვის ისევ 600 ათასს ითხოვს. ამის მერე, დემონტაჟისთვის და ექსპლუატაციისთვის ითხოვს 240 ათასს, რაც, საერთო ჯამში, 840 ათასი ლარი დაგვიჯდება.

**— ტუალეტების თემა „ფეისბუქზე“ აქტიურად იხილება. ამ მხრივ რა ხდება?**

– მართლაც საინტერესოა, საზოგადოებრივი ტუალეტების საკითხი. ნარმანია მომავალ წელს აპირებს 2 ბიოტუალეტის აშენებას 100 ათას ლარად, ანუ თითო ტუალეტის აშენება დაუჯდება 50 ათასი ლარი. საერთო ჯამში კი, მთელი წლის მასშტაბით, ბიოტუალეტების მოვლა-პატრონობა თბილისელებს 150 ათასი დაგვიჯდება. კურიოზიც არაა, როცა ამ ორი ბიოტუალეტის მშენებლობა ჯდება 100 ათასი, ხოლო მთელი თბილისის მასშტაბით ტუალეტების მოვლა-პატრონობა – 150 ათასი.

ეს ბიოტუალეტები მერიას მაშინ სჭირდება ხოლმე, როცა საახალწლო ან მსგავსი დიდი ღონისძიებები იმართება ქალაქში. ან მაშინ, როცა საპროტესტო აქციები ეწყობა. ახლა რა ხდება

**— მთავრობა, მომავალ წელს ემზადება მასობრივი აქციებისთვის და ამისთვის სჭირდება ეს ბიოტუალეტები? ამას მოწმობს ისიც, რომ მილიონი ლარის რკინის ჯებირების შეძენას აპირებს მერია მომავალი წლის ბიუჯეტით. მერიამ მიმდინარე წელს, ასევე, ორი ხელშეკრულებით შეიძინა კარვები, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, რაშიც 455 ათასი ლარი გადაიხადა.**

**— კარვები რისთვისღა სჭირდებათ?**

– მათი მიზნობრიობა არის საახალწლო ღონისძიებები, 26 მაისის ღონისძიება, „თბილისობა“ და ა.შ. ახლა ნახეთ შემდეგი წლის ბიუჯეტში რა ხდება – 2016 წლის ბიუჯეტის თანახმად, კვლავ აპირებს მერია კარვების შეძენას და საამისოდ 90 ათასი ლარი აქვს მოთხოვნილი. გაუგებარია, რას უპირებენ 455 ათასი ლარის კარვებს...

საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ეს ყველაფერი გათვლილია „ატკატებისთვის“, რომლის მიღებაც უნდა მოასწროს თბილისის ამჟამინდელმა მერმა, სანამ მერია, იმიტომ, რომ, კაცმა არ იცის, როდის გაუშვებენ სახლში.

ნათელი ხდება, რომ თბილისის მერიას წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა დაიხარჯოს თბილისის ბიუჯეტი. ჯერ ის თანხები ვერ აუთვისებიათ, რაც ჰქონდათ და ხარჯების გაორმაგებაზე საუბრობენ. რას გვერჩის ნარმანია, კაცმა არ იცის! ნარმანიამ, ცოტა ტვინი გაანძრიოს და გონს მოეგოს, თუ არ იცის, ვინც იცის, იმათი გაიგონოს, თორემ დროზე ადრე დაუდგება მას სახლში წასვლის დრო ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით. სამწუხაროა, რომ ჩვენ კი გავცემთ რეკომენდაციებს, მაგრამ რამდენად გაითვალისწინებს ამას მერია, ამის მოლოდინი დიდად არ გვაქვს.

# „საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ეს ყველაფერი გათვლილია „ატკატებისთვის“, რომლის მიღებაც უნდა მოასწროს თბილისის ამჟამინდელმა მერმა, სანამ მერია, იმიტომ, რომ, კაცმა არ იცის, როდის გაუშვებენ სახლში“



**„რას გვერჩის ნარმანია, კაცმა არ იცის! ნარმანიამ, ცოტა ტვინი გაანძრიოს და გონს მოეგოს, თუ არ იცის, ვინც იცის, იმათი გაიგონოს, თორემ დროზე ადრე დაუდგება მას სახლში წასვლის დრო ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით“**

**გივი კუბლაშვილთან საუბრის შემდეგ, თბილისის მერიის პრესსამსახურთან დაკავშირება ვცადეთ მთელ რიგ კითხვებზე პასუხების მისაღებად, თუმცა, მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ნონა ყანდიაშვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ამის მერე, ნარმანიას რომ ჰკითხავენ, შენი პრესსამსახურის უფროსს 5000 ლარზე მეტი ხელფასი რა დამსახურებისთვის აქვსო, ისევ ხბოს თვალებით დაიწყებს ყურებას და ამის ატანა არ გინდა? წადი რა, ვერ ივარგე მერად და ყელში ნუ ამოუყვან თბილისელებს...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პატრიარქის ასეთი „პრივატიზება“ ბურჭულაძის მხრიდან არის კიდევ ერთი უტიფარი საქციელი



ჟურნალისტი და იუმორისტი ბაკურ სვანიძე პაატა ბურჭულაძის იმ განცხადებას ეხმაურება, რომელშიც მომღერალი ამბობს, რომ პატრიარქის კურთხევის გარეშე არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს პოლიტიკაში და არც პარტიას ჩამოაყალიბებს.

– შთაბეჭდილება მრჩება, ეს კაც-ბანი, იმ დონის ნაძირალაა, რომ პატრიარქის სახელით სპეკულირებასაც არ მოერიდება! ამის ტენდენციები უკვე შევნიშნე.

„ბურჭულაძის უკან დგას პატრიარქი“ – დაახლოებით ასეთი შინაარსის „არგუმენტებს“ მწერენ ადამიანები, ვინც პატივცემული მსოფლიო ბანის „ნაცებთან“ ჩახუტების „გაპრავებას“ ცდილობს.

ხალხო! პატრიარქი არავის „უკან“ და „წინ“ და „გვერდით“ არ დგას, ქართველი ხალხის გარდა!

პატრიარქის ასეთი „პრივატიზება“ პაატა ბურჭულაძის მხრიდან არის კიდევ ერთი უტიფარი საქციელი!

პატრიარქს თავისი საქმე და საკეთებელი აქვს და ეს საქმე ყველაზე ნაკლებად არის პოლიტიკური ლიდერებისა თუ პარტიების კურთხევა!

აკეთეთ თქვენი ბინძური საქმე ისე, რომ პატრიარქს ნუ გარევთ ამაში, – აცხადებს სვანიძე. (marshalpress.ge)

## ზამთრის არდადეგები სკოლებში 30 დეკემბერს დაიწყება



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ზამთრის არდადეგები სკოლებში 30 დეკემბრიდან დაიწყება და 14 იანვრამდე გაგრძელდება.

უწყების ცნობით, ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი 15 იანვარს განახლდება.

რაც შეეხება, კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღებს თავად განსაზღვრავენ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გიორგი უძილაური: რა პოზიციაზე უნდა დავდგეთ ჩვენ, საქართველო, როცა...



„თქვენ რას ფიქრობთ, ამ აბსურდის თეატრში ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ?" – ჟურნალისტი გიორგი უძილაური ამ შეკითხვით სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს:

– რა პოზიციაზე უნდა დავდგეთ ჩვენ, საქართველო, როცა:

**ISIS**-ის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე აშშ და ჩვენი ოკუპანტი რუსეთი. თურქეთი თან ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა და თან **NATO**-ს წევრი, თურქეთი თან **ISIS**-ს ებრძვის და თან **ISIS**-ის რიგები თურქეთის საზღვრებიდან იზრდება. თან თურქეთს არ აწყობს ასადის გამარჯვება. სამაგიეროდ ასადის გამარჯვება აწყობს რუსეთს, რომელიც ბომბავს **ISIS**-საც და სხვა რაზმებსაც და რადგან თურქეთს არ აწყობს ასადის გამარჯვება, თურქეთს არ მოსწონს რუსეთის აქტიურობაც, რის შედეგადაც თურქეთმა ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი, რომელიც ებრძოდა **ISIS**-ს. ტერორისტებს ებრძვიან ქურთი სეპარატისტებიც, რომლებსაც არ მოსწონთ არც ასადი და არც თურქეთი. ქურთებს იარაღით და ტრენინგებით მხარს უჭერს **NATO**, მაგრამ არა **NATO**-ს წევრი თურქეთი, რომელსაც ეშინია, რომ ქურთების გაძლიერება დაშლის თურქეთს. ამიტომაც თურქეთი ბომბავს ქურთებს, რომლებიც ებრძვიან ტერორისტებს. ტერორისტებს **NATO**-სთან ერთად ებრძვის ირანიც, რომელიც აშშ-ის მტრად ითვლება, მაგრამ ახლა ისინი მოკავშირეები არიან. ასევე, აშშ-ის და რუსეთის მოკავშირედ გამოდის ლიბანური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლა", რომელიც შიიტურია და ეშინია **ISIS**-ის.

შესაბამისად, საქართველოსთვის ასეთი რეალობაა:

**ISIS** თუ საფრთხეა, მაშინ რუსეთი, როგორც მეორე საფრთხე, ამ შემთხვევაში მოკავშირეა, მაგრამ ამავე ვითარებაში, თურქეთი, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული, ჩვენი მოწინააღმდეგე გამოდის, მაგრამ თურქეთი **NATO**-ს წევრია, ამიტომაც მაინც მოკავშირეა, მაგრამ ეს მოკავშირე ბომბავს ქურთებს, რომლებსაც იარაღით ამარაგებს მეორე ჩვენი მოკავშირე აშშ, რომელიც „ჰესბოლას" მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად, თუმცა „ჰესბოლა" ეომება ჩვენთვის მიუღებელ **ISIS**-ს, ისევე როგორც აშშ, ანუ აშშ და „ჰესბოლა" ჩვენი მოკავშირეები გამოდიან, ისევე, როგორც ირანი, რომელიც მართალია, აშშ-სთან ვერაა კარგად, მაგრამ კარგად ებრძვის **ISIS**-ს, თუმცა, სურს ასადის შენარჩუნება, რაც არ სურს აშშ-ს, ისევე როგორც თურქეთს, ანუ თურქეთიც და ირანიც ჩვენი მოკავშირეებია, მაგრამ ირანი მეგობრობს რუსეთთან და ამიტომ რუსეთიც ჩვენი მოკავშირე გამოდის, მაგრამ რუსეთი თურქეთთანაა დაპირისპირებული, თურქეთი კი ჩვენი მოკავშირეა, ანუ რუსეთი მაინც ჩვენი მტერი გამოდის. თუ რუსეთი ჩვენი მტერია, მაშინ **ISIS** გამოდის ჩვენი მეგობარი?

მოკლედ, თქვენ რას ფიქრობთ, ამ აბსურდის თეატრში ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ? – წერს უძილაური. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თემურ შაშიაშვილი: როგორც პაატა ბურჭულაძის მეგობარი, მას ამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვურჩევ

„თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკაში მოსვლას არ ურჩევს. თემურ შაშიაშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:



– მე, როგორც პაატა ბურჭულაძის მეგობარი და ახლობელი, მას ამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვურჩევ! პოლიტიკა ისეთი რთული და მძიმე მეცნიერებაა, რომ მრავალი პიროვნების ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა... ეს ბატონ პაატასაც დაემართება!..

მინდა, რომ საქართველოში ერთი პიროვნება მაინც დარჩეს ისეთი, რომელმაც ქველმოქმედება გააკეთა ქველმოქმედებისთვის და სამაგიეროდ პოლიტიკური აღიარება არ მოითხოვა. მინდა, დარჩეს ერთი პიროვნება მაინც ქვეყანაში, რომელიც ტაძრის აშენებასთან იყო დაკავშირებული და ამისთვის არ მოითხოვა პოლიტიკური დივიდენდები. ბატონი პაატას პოლიტიკაში შემოსვლას მავანნი რუსეთსა და პატრიარქს დააბრალებენ, რუსეთს იმიტომ, რადგან თავის თავს რუს ბანად მოიხსენიებს. პატრიარქის სახელთან ახალი პოლიტიკური ძალის დაკავშირება დაუშვებელია.

ჩვენ გვყავს პატრიარქი, რომლის სახელს სჭირდება დიდი გაფრთხილება. ამიტომ როდესაც პატრიარქის გარემოში და მის სამყაროში შედიხარ, პოლიტიკური განცხადებების გაკეთების ან პოლიტიკაში შესვლა-არშესვლის თაობაზე საუბრის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან შემდეგ ძალიან ბევრ ვინმეს პოლიტიკაში მოსვლა საქართველოში და უცხოეთშიც ჰბრალდება პატრიარქს. პატრიარქს კი ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები და ქართული სულის ხელისუფლება სურს!

სკეპტიკურად ვარ განწყობილი პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური გარემოცვის მიმართაც.

იგივე ხალხი, რომელიც შევარდნაძის გარემოცვაში იყო და მას ათას უბედურებას აკეთებინებდა, ახლა ცდილობს, თავის ნებაზე ატაროს ბატონი პაატა და მე, როგორც მისი მეგობარი, ამას მას არ ვუსურვებ! – ნათქვამია „თეთრების" ლიდერის განცხადებაში. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სალომე ზურაბიშვილის მწვავე ბრალდებები პაატა ბურჭულაძეს: „რატომ არავის უკვირს ამ „ბანის" სიჩუმე მთელი 9 წელი"



პაატა ბურჭულაძის შესაძლო პოლიტიკური ვნებები საზოგადოების ერთ ნაწილს ბევრ კითხვას უჩენს.

კითხვები აქვს და უნდობლობას უცხადებს ბურჭულაძეს პოლიტიკოსი სალომე ზურაბიშვილიც, რომელიც მოსაზრებას „ფეისბუკზე" აქვეყნებს.

– რატომ არ მიკვირს, რომ მაჭავარიანის ძმა ახალ დაარსებულ ფონდის გენმდივნად ჰყავს აყვანილი?

ან რატომ არავის უკვირს ამ „ბანის" სიჩუმე მთელი 9 წელი წინა ხელისუფლების მმართველობის დროს (თუმცა დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკის უფლება აქვს და უნდა ჰქონდეს)...

ნუთუ ასეთ გამაყრუებელ სიჩუმეს რამე კავშირი ჰქონდა იმასთან, რომ ამ 9 წლის მანძილზე მისი ფონდი „იავნანა" სარგებლობდა იმდროინდელ ხელისუფლების სრული „კარტ-ბლანშით"? მეტიც, „იავნანას" ჰქონდა მიღებული მონოპოლია: აეროპორტში იდგა მხოლოდ „იავნანას" ყუთები, სადაც წამსვლელ მგზავრებს შეეძლოთ, მათ ხელთ შერჩენილი ლარების შეწირვა „იავნანასთვის"... იმ დროს, როცა არც ერთი ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან დაცული არ იყო, რა კავშირი ჰქონდა ამ ფონდს ხელისუფლებასთან?.. უცხოეთიდან შემოსული ფულის გათეთრებისა, თუ სწორედ სხვადასხვა ბიზნესებზე დაკისრებული გადასახადის გადმორიცხვის ფორმა? ხომ საინტერესო კითხვაა... – წერს ზურაბიშვილი. (ambebi.ge)

## ბრიუსელში ტერორიზმის საფრთხის უმაღლესი დონე ერთი კვირით შენარჩუნდება

ბელგიის პრემიერ-მინისტრ შარლ მიშელის განცხადებით, ბრიუსელში 30 ნოემბრამდე შენარჩუნდება ტერორიზმის საფრთხის უმაღლესი – მეოთხე დონე.



ამის შესახებ პრემიერმა ბრიუსელში, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, ბელგიის დანარჩენ ტერიტორიაზე ტერორიზმის საფრთხე მესამე დონეზე რჩება.

შარლ მიშელის განცხადებით, 25 ნოემბერს სკოლებში სასწავლო პროცესი აღდგება და მეტრო განაახლებს მუშაობას.

– ეს ძლიერი სიგნალია, რომ ჩვენ პროგრესი გვაქვს, რათა ცხოვრების ნორმალურ რიტმს დავუბრუნდეთ. უსაფრთხოების სამსახური ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს, – განაცხადა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა. (pia.ge)

**აი, სწორედ ეს არის სახელმწიფო, რომელიც უსაფრთხოების მაქსიმალურ ზომებს იღებს, ხალხს აფრთხილებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ და მედიისგან არ მოითხოვს, გაფილტრეთ და დაარედაქტირეთ ინფორმაცია, ე, მანდ, მოსახლეობა პანიკაში არ ჩავარდესო.**

**ჩვენთან კი, როგორც ყოველთვის, ჯერ ურმის გადაბრუნებას ელოდებიან, რომ გზა მერე გამოჩნდეს და მერე წაიშინონ თავში ხელები — ეს რა დაგვემართა, ეს რა დღეში ჩავვარდითო!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სირიაში „C-400" ამოქმედდა, რომელიც თურქეთს აკონტროლებს... საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში — ჩამოაგდებენ...



თურქული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, სირიაში „**C-400**" ამოქმედდა, რომელიც თურქეთისა და სირიის საზღვარს აკონტროლებს.

ჩამოგდების ბრძანება ჯერ არ გაცემულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთი ჩათვალის, რომ თურქულმა გამანადგურებლებმა სირიის საზღვარი 5-10 წამის მონაკვეთში გადაკვეთეს, შეიძლება ბრძანების სისრულეში მოყვანის პროცედურა ნებისმიერ წამს დაიწყოს. (რეპორტიორი)

## „უკან დახევის უფლება აღარ მაქვს! ეს გზა თავად ავირჩიე!" — დავით თევზაძემ პოლიტიკური პარტია დააფუძნა



დავით თევზაძემ პოლიტიკური პარტია „საქართველოს მშვიდობისთვის" დაარეგისტრირა. როგორც თევზაძე სოციალურ ქსელში წერს, მისი პარტია ძალაში ოფიციალურად შევიდა, პარტიის თავმჯდომარე თავად არის, პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის გზა თავად აირჩია და უკან დახევას აღარ აპირებს.

– მაშ ასე: დღეს ოფიციალურად ჩამბარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის მოწმობა. ამით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს მშვიდობისთვის" ფორმირების ეს ეტაპი დასრულდა. ოფიციალურად პარტია ვართ და მე მისი თავმჯდომარე. წინ მეორე ეტაპი, თავზე აღებული პასუხისმგებლობის ტვირთი და ქართული პოლიტიკური ლაბირინთია. არც შეცდომის და არც უკან დახევის უფლება აღარა მაქვს. მე თავად ავირჩიე ეს გზა და საკუთარ არჩევანზე თავადვე ვაგებ პასუხს ღმერთისა და თქვენს წინაშე. იმედი მაქვს, მარტო არ დამტოვებთ.

მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციის სამსახურის თანამშრომლებს და მათ ამჟამინდელ უფროსს ქ-ნ თამარ ბერაიას კეთილგანწყობისა და ხარისხიანი და წესიერად შესრულებული სამუშაოსთვის, – წერს დავით თევზაძე. (რეპორტიორი)

# პატრიარქის გეგმა „ბ“ თუ სააკაშვილის მიერ კომპრომატებით „დავერბოვკებული“ პაატა ბურჭულაძე?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



პაატა ბურჭულაძის „საქართველოს განვითარების ფონდი“ მალე პოლიტიკურ ორგანიზაციად რომ გადაკეთდება, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ ჯერ კიდევ 2 წლის წინათ წერდა, რომ ბურჭულაძე პოლიტიკაში აუცილებლად მოვიდოდა, თუმცა, საამისოდ შესაფერის დროსა და ვითარებას ელოდა. ეს დრო, როგორც ჩანს, დადგა. ახლა ის არის გასარკვევი, რომელ პოლიტიკურ პლატფორმას აირჩევს ბურჭულაძე – მარჯვნივ წავა, მარცხნივ თუ ცენტრში გაჩერდება? ცხადია, ამაზეა დამოკიდებული, რომელ პოლიტიკურ ძალებთან ითანამშრომლებს, მისი პოლიტიკა ხეირს დააყრის თუ არა ქართველ ხალხს თუ პირიქით, ისედაც მოძალებულ პრობლემებს მოუმრავლებს.

რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაატა ბურჭულაძე კიევში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და მათ ერთად დაგეგმეს მისი პოლიტიკაში მოსვლა. ამ შეხვედრის შესახებ ბურჭულაძეცა და „ნაციონალებიც“ თვეების განმავლობაში საეჭვოდ დუმდნენ, მაგრამ კიევში სააკაშვილისა და ბურჭულაძის შეხვედრის დამადასტურებელი ფოტოები სოციალური ქსელით გავრცელდა და ეჭვებიც გაიფანტა. ლოგიკურად, ხალხმა დაასკვნა, რომ ბურჭულაძე „ნაციონალების“ „მაშველი რგოლია“, როცა პარტიას ჩამოაყალიბებს, „ნაცებთან“ ითანამშრომლებს და შესაბამისად, ხალხის დიდმა ნაწილმა უკვე აითვალწუნა ქართველი ქველმოქმედი, რადგან „ნაციონალებთან“ ასოცირებულ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, სავარაუდო პარტნიორს, ხალხი ემიჯნება. თუმცა, ძალიან საეჭვოა, რომ პაატა ბურჭულაძე იმდენად უგუნური ადამიანი იყოს, რომ პოლიტიკური კარიერის დასაწყისშივე დაიმარხოს თავი.

პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე თავად „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ერთგვაროვანი პოზიცია არ აქვთ.

„ალიას“ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულმა წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, რა განწყობაა პარტიის ლიდერებს შორის პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. ლიდერთა ერთი ნაწილი ვიწრო წრეში საუბრობს, რომ ბურჭულაძე მიხეილ სააკაშვილს ჰყავს „დავერბოვკებული“, მის შესახებ კომპრომატები აქვს და მან აიძულა, პოლიტიკაში მოსვლა. ამ ვერსიის მიხედვით, პაატა ბურჭულაძე შექმნის პარტიას და მასში უკვე დასაშლელად განწირულ „ნაცმოძრაობის“ შედარებით სუფთა სახეებს გააწევრიანებს, ამ ხალხს ჩასვამს საარჩევნო სიაში. წესით, საარჩევნო ბარიერის გადალახვა არც ამ ბალასტით გაუჭირდება ბურჭულაძის პარტიას და პარლამენტში თუ „ნაცმოძრაობაც“ მოხვდა, იქ უკვე ალიანსს შეკრავენ და „ქართულ ოცნებას“ ერთად დაუპირისპირდებიან.

თუმცა, წყაროს თქმით, ამას პარტიის ლიდერთა დიდი ნაწილი, ე.წ. გიგა ბოკერიას გუნდი არ იზიარებს. მათ მიაჩნიათ, რომ პაატა ბურჭულაძე პირადად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პროექტია, პოლიტიკაში მისი თხოვნით მოვიდა და შესაბამისად, ქართული ეკლესიის პოზიციებს დაიცავს და პატრიარქთან შეთანხმებით იმოქმედებს. აკი თავად პაატა ბურჭულაძემაც განაცხადა, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს პატრიარქთან შეთანხმების გარეშე არ იღებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გაპოლიტიკოსება სწორედ პატრიარქის ხელდასხმით მოხდა.

2 წლის წინათ „კვირის ქრონიკა“ იმასაც წერდა, რომ ილია მეორეს პაატა ბურჭულაძე და ბიძინა ივანიშვილი შეხვდნენ ფარულად და მისი პოლიტიკაში მოსვლის შესაძლებლობები განიხილეს.

ეს ის პერიოდია, როცა ულტრალიბერალებმა ნამეტანი აიშვეს, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მორიგი შეტევა წამოიწყეს და რუსთაველზე გეიაღლუმიც გამართეს. მაშინ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით ვწერდით, რომ პატრიარქმა პაატა ბურჭულაძეს უთხრა, ამ ეტაპზე არ მოხვიდე პოლიტიკაში, თუ ბიძინას გაუჭირდა, შემდეგ მოდი, მხარში დაუდექი და იმ ნაციონალური იდეების რეალიზაციაში დაეხმარე, რომელთა განხორციელებასაც აპირებსო.

მოკლედ, პაატა ბურჭულაძე პატრიარქისთვის იყო გეგმა „ბ“, რომელსაც გაჭირვების დროს აამუშავებდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გასაჭირი უკვე დადგა. ბიძინა ივანიშვილსა და მის „ქართულ ოცნებას“ ამაზე უარესი დრო რაღა უნდა დაუდგეთ, როცა ხალხის ნდობა საბოლოოდ დაკარგეს და 2016 წლის არჩევნებში წარმატების მიზერული შანსები აქვთ?! ამ ვერსიას თუ მივყვებით და პაატა ბურჭულაძე მართლა ილია მეორის პროექტია, გამოდის, რომ არჩევნების შემდეგ, პარლამენტში მისი პარტია არა „ნაციონალებს“, არამედ „ქართულ ოცნებას“ შეეკვრება. თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვა იმდენი მანდატი, რომ პრემიერ-მინისტრი გაიყვანოს, მაშინ ბურჭულაძე თავისი პარტიის ხმებს შეაწევს და ერთობლივ კანდიდატს გააპრემიერებენ.

წყარო აცხადებს, რომ არც ის არის გამორიცხული, ასეთ შემთხვევაში პრემიერად პაატა ბურჭულაძე ვიხილოთ. შეიძლება ითქვას, ეს ყველაზე დამაჯერებელი ვერსიაა იმის გათვალისწინებით, თუ როგორი კარგი ურთიერთობა აქვთ პატრიარქსა და პაატა ბურჭულაძეს და შეგახსენებთ, თავადვე აღიარებს, რომ პატრიარქის გარეშე მნიშვნელოვან ნაბიჯს არ დგამს.

თუმცა, აქვე ერთი კითხვა ჩნდება – თუ პაატა ბურჭულაძე პატრიარქის რჩეულია, მაშინ „ნაცმოძრაობას“ რატომ ეკურკურება და პოლიტიკაში მოსვლისთანავე რატომ არ დაუპირისპირდა იმ ძალას, რომელმაც პატრიარქიც, საპატრიარქოც და მთელი ქართველი ერიც შავ დღეში ჩააგდო? ამის შესახებ გიგა ბოკერიას საკუთარი პოზიცია ჰქონია. მისი თქმით, მართალია, პაატა ბურჭულაძეს საერთაშორისო არენაზე ცნობენ და პატივს სცემენ, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში მას მხოლოდ მომღერლად იცნობენ, საერთაშორისო პოლიტიკაში დასაყრდენი არ აქვს. შესაბამისად, ბოკერია ვარაუდობს, რომ ბურჭულაძე შეეცდება, „ნაციონალთა“ საერთაშორისო კავშირები გამოიყენოს, გავლენიან უცხოელ პოლიტიკოსებს დაუახლოვდეს და შემდეგ, „ნაციონალებს“ ზურგი აქციოს. აბსოლუტურად მისაღები ვერსიაა, პოლიტიკა და მეტადრე ქართული პოლიტიკა ხომ გამოყენება-გადაგდების პრინციპზეა აგებული და პაატა ბურჭულაძისგანაც არ გაგვიკვირდება ეს საქციელი. თუ ქართული იდეების ხორცშესხმისთვის ბურჭულაძე „ნაცებს“ გამოიყენებს და მერე სამი თითის კომბინაციაზე გაუშვებს, ღმერთიც დალოცავს, მადლიანი საქმე იქნება. თუმცა, რამდენად მოახერხებს ამას ბურჭულაძე, ეს უკვე მის მარიფათზეა დამოკიდებული. ძალიან ძნელი საქმეა, რადგან ბოკერია ამ სავარაუდო გეგმის არსებობის შესახებ უკვე საქმის კურსშია.

„ალიას“ წყარო აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები აქტიურად მუშაობენ იმ ხალხთან, ვინც პაატა ბურჭულაძის მომავალი პოლიტიკური გუნდის წევრებად მოიაზრებიან, ასევე, მიხეილ მაჭავარიანის ძმასთან, ვანიკო მაჭავარიანთან. ამ ხალხის მეშვეობით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ე.წ. შეფარული „ნაციონალი“ შეაპარონ ბურჭულაძის პარტიაში და თუ ამას შეძლებენ, საპარლამენტო სიაშიც ჩაასმევინონ ეს ხალხი. აქ ლაპარაკია ისეთ ადამიანებზე, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ კი ღიად აკრიტიკებენ, მაგრამ ამას სწორედ იმიტომ აკეთებენ, რომ მათ „ნაცმოძრაობასთან“ კავშირი არ დააბრალონ. რეალურად კი მათი მხარდამჭერები არიან. ასეთი შავი დღისთვის გადანახული ბირთვი ყველა პოლიტიკურ ძალას ჰყავს და კრიტიკულ მომენტში გადასარევად იყენებს. თუ ამ ხალხმა ბურჭულაძის გარემოცვაში შეაღწია და იქ გავლენიანი პოსტები დაიკავა, ბურჭულაძეს „ნაციონალები“ იქით გააკონტროლებენ და გამოიყენებენ. თუ პარლამენტშიც შეძვრნენ ეს პოლიტიკური ლამურები, საჭირო დროს, „ნაციონალების“ მხარეს დადგებიან და ბოლოს და ბოლოს გაიშიფრებიან.

„ნაციონალებისგან“ გამოჟონილი მესამე ვერსიით, პაატა ბურჭულაძე შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ფავორიტია. ამ ვერსიის ერთ-ერთი საფუძველი კი ის არის, რომ პაატა ბურჭულაძე „კანონიერი ქურდის“, ტარიელ ონიანის შვილის ნათლიაა, გარდა ამისა, ონიანის მეშვეობით, მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს „შავ სამყაროსთან“. შევარდნაძის ხელისუფლების ლიდერები კი, მოგეხსენებათ, ძალიან ახლოს იყვნენ ქართული კრიმინალური სამყაროს ლიდერებთან. ამ ვერსიით, გამოდის, რომ პაატა ბურჭულაძეს ეს ძალები რევანშისთვის იყენებენ და თუ ის ქართულ პოლიტიკაში გავლენას მოიპოვებს, ეს ადამიანებიც ნელ-ნელა დაიბრუნებენ ძალაუფლებას.

კი, ბატონო, ჩვენ გვაქვს კანონი, რომლის მიხედვითაც, ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის ადამიანი ისჯება, „კანონიერ ქურდებს“ კი, თუ საქართველოში მოიხელთეს, ეგრევე ციხეში ყრიან. კი მაგრამ, თუ ეს ხალხი საქართველოში არ დაბრუნდა, მაშინ როგორღა მოახერხებენ აქ გავლენის მოპოვებას? როგორ მოახერხებენ და საკმაოდ იოლად. მათთვის მთავარი არა საქართველოში დაბრუნება, არამედ იმ უზარმაზარი „შავი ფულის“ სარფიანად დაბანდებაა, რომელსაც ფლობენ, ამას კი უცხოეთში ან ვერ ახერხებენ, ანდა დიდი წვალების შედეგად. თუ პაატა ბურჭულაძემ ეს ხალხი დაალობირა, მაშინ ეს შავი ფული შემოვა საქართველოში, წავა ბიზნესში და „შავი სამყარო“ უზარმაზარ მოგებას ნახავს. დიდი ფული კი პოლიტიკაში ნებისმიერი გავლენის მოპოვების საწინდარია.

აი, ეს აინტერესებთ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს და მათი ეს განზრახვა ცნობილია.

თუმცა, ფაქტი ერთია – რა განზრახვითაც არ უნდა მოდიოდეს პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში, საბოლოოდ კრახისთვის არის განწირული. ბიძინა ივანიშვილს რომ სახელი, ხალხის ნდობა ჰქონდა, ბურჭულაძეს ძნელად თუ დაესიზმრება. ივანიშვილს საპატრიარქოს სერიოზული მხარდაჭერაც ჰქონდა და ახლაც აქვს. ამის მიუხედავად, დღეს ივანიშვილი და მისი „ქართული ოცნება“ პოლიტიკური გაკოტრების ზღვარზე არიან, რადგან ხალხს არც ერთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულეს, მათგან უმთავრესი – არ აღადგინეს სამართლიანობა ქვეყანაში. ამ სამართლიანობას ვერც პაატა ბურჭულაძე აღადგენს, როგორც არ უნდა სურდეს. ეს საქმე თავის დროზე იყო გასაკეთებელი, სამართლებრივი ბერკეტებით და ახლა, ყველა დამნაშავე „ნაციონალი“, მათი დამქაშები სამართალდამცავი, სასამართლო სისტემიდან და სხვა სტრუქტურებიდან, ციხეში იქნებოდნენ გამოკეტილნი, ხალხს მათ მიერ ნაძარცვი ქონება დაუბრუნდებოდა და სხვაც ბევრი რამ გამოსწორდებოდა. დღეს კი, ამ სამართლიანობის აღდგენის პროცესმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო და ლამისაა, მკვლელი ველარ დაუჭერია პროკურატურას, თუკი ერთხელ მაინც არის ნამყოფი „ნაციონალთა“ ოფისში.

საერთაშორისო საზოგადოება ამ პროცესს ხელოვნურად აფერხებს და ზედ ეფოფრება დამნაშავე „ნაცებს“, ამის განეიტრალებას კი ვერც პაატა ბურჭულაძე შეძლებს. ეს სცადა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ვერ გადაახტა გავლენიან უცხოელ პოლიტიკოსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებს. ვეჭვობ, პაატა ბურჭულაძე ივანიშვილზე უფრო მაღლა ხტებოდეს.

ხალხი კი პაატა ბურჭულაძისგან იმავეს მიიღებს, რაც ამ 25 წლის მანძილზე არ დაჰკლებია – უამრავ დაპირებას, რომელთაგან უმცირესიც კი არ შესრულდება. ქართულ პოლიტიკაში არაერთი ხელოვანი, სპორტსმენი დამკვიდრდა, მაგრამ საბოლოოდ ხალხი ყველამ მიივიწყა, საკუთარი დაპირებები თავადაც აღარ ახსოვთ, მოიწყვეს ცხოვრება, ძალაუფლება მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენეს.



თუმცა, აქვე ერთი კითხვა ჩნდება – თუ პაატა ბურჭულაძე პატრიარქის რჩეულია, მაშინ „ნაცმოძრაობას“ რატომ ეკურკურება და პოლიტიკაში მოსვლისთანავე რატომ არ დაუპირისპირდა იმ ძალას, რომელმაც პატრიარქიც, საპატრიარქოც და მთელი ქართველი ერიც შავ დღეში ჩააგდო? ამის შესახებ გიგა ბოკერიას საკუთარი პოზიცია ჰქონია

„ნაციონალებისგან“ გამოჟონილი მესამე ვერსიით, პაატა ბურჭულაძე შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ფავორიტია. ამ ვერსიის ერთ-ერთი საფუძველი კი ის არის, რომ პაატა ბურჭულაძე „კანონიერი ქურდის“, ტარიელ ონიანის შვილის ნათლიაა

# „ვერ წარმოვიდგენ, ყურანის მკითხველი ადამიანი აფეთქებდეს სხვა ადამიანს და თავს იფეთქებდეს. ისლამში თავის მოკვლა არ არის მიღებული. ამიტომ არ მაქვს პასუხი კითხვაზე, რატომ მიდიან სირიაში“

ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება, ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარება – ამ ბრალდებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, სირიიდან საქართველოში დაბრუნებული დავით ბორჩაშვილი დააკავა. ბორჩაშვილის ოჯახი აცხადებს, რომ ახალგაზრდა მამაკაცი წელიწადნახევრის წინათ სამუშაოდ თურქეთში გაემგზავრა. ისინი ვერ აკონკრეტებენ, იმყოფებოდა თუ არა ბორჩაშვილი სირიაშიც. ცნობილია, რომ ბორჩაშვილის დეპორტაცია თურქმა სამართალდამცველებმა განახორციელეს.

რატომ მიდიან მუსლიმანი ახალგაზრდები სირიაში, ვინ ან რატომ ახდენს ისლამის რადიკალიზაციას და როდის გაიხსნება ბათუმში მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge საქართველოს მუფტს, ბეგლარ ქამაშიძეს ესაუბრა.

სოციალური ფაქტორი და განათლების დეფიციტი, როგორც ირკვევა, ეს არის მთავარი ფაქტორი, რატომაც ახალგაზრდები „ისლამური სახელმწიფოს“ ჯგუფში წევრიანდებიან. სოციალური ფონი რომ გამოვრიცხოთ, რატომ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისგან მუსლიმანი ახალგაზრდები ტრადიციულ ისლამსა და რადიკალიზმს?

მუფტი ბეგლარ ქამაშიძე:

– პასუხი არ გვაქვს, არც ვიცით მიზეზი, რა აწუხებთ ტრადიციული ისლამის მიმდევრებს, რომ ასე უცებ იცვლებიან და ხდებიან რადიკალები. ვფიქრობ, მთავარი მიზეზი პოლიტიკური თამაშია.

– რას გულისხმობთ პოლიტიკურ თამაშში?

– ძალოვნებს და ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობ საქართველოს ძალოვნებზე, ვგულისხმობ სხვადასხვა ქვეყნის ძალოვნებს, რომლებიც ცდილობენ, შექმნან ისეთი პრობლემები, რომელიც საზოგადოებას და საერთოდ, მრევლს შეაძულებს ტრადიციულ ისლამს, რომელიც სიყვარულს, მოფერებას, პატივისცემასა და ურთიერთდაფასებას ქადაგებს და ცდილობენ მის დაკავშირებას ტერორიზმთან და ხდება მისი რადიკალიზაცია.

– ალბათ, გექნებათ ვერსია, რატომ შეიძლება დაინტერესებული იყვნენ ისლამის რადიკალიზაციით?

– დღეს ევროპაში ძალიან ბევრი ადამიანი იღებს ისლამს რელიგიად. აქედან გამომდინარე, ევროპაში და არა მარტო ევროპაში, მთელ მსოფლიოში დაიწყო ისეთი პოლიტიკური თამაში, რომელიც აძულებს საზოგადოებას ისლამს. საუკუნეების მანძილზე არსებობდა ისლამი და ასეთი პრობლემები არასდროს არ ყოფილა. ბოლო 10-15 წელია, დაიწყეს რადიკალიზაცია, რომელიც ძალადობაში გამოიხატება. ვფიქრობ, რომ ამის უკან დგას ჯგუფი, რომელთა მიზანია რელიგიის შეურაცხყოფა.

ჩვენ ვართ რელიგიის წინამძღვრები და ყველას უნდა ვუქადაგოთ სიყვარული და სიმშვიდე. ისლამი კრძალავს ყოველგვარ ძალადობას, მით უმეტეს ადამიანის კვლას.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვგმობთ იმას, რაც მოხდა საფრანგეთში, მაგრამ ჩვენ ასევე ხმა უნდა ამოვიღოთ იმ ფაქტზე, როგორ იხოცებიან სირიაში ბავშვები, უდანაშაულო ადამიანები იხრჩობიან ზღვაში. ამ ძალადობის წინააღმდეგაც უნდა შეიკრას მსოფლიო და ერთად უნდა მოვუღოთ ბოლო ამ სისხლისღვრას. სამწუხაროდ, საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ისლამისტმა მოკლა, მუსლიმანმა მოკლა... არა, ჩემო კარგებო, ასე არ არის. თუ ჩვენ ვართ ტოლერანტები, მაშინ ხმა უნდა ავიმაღლოთ იმ უდანაშაულო ბავშვებზე, რომელთა გვამებიც ზღვამ გამორიყა. ერთად უნდა ვუშველოთ იმ უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც რამდენიმე წელია იხოცებიან. აუცილებელია, მთელი მსოფლიო დადგეს ერთად და ერთად ვთქვათ – შეჩერდი!

– როგორ წარმოგიდგენიათ ამ რადიკალების შეჩერება? თქვენ ხედავთ, რომ ისინი არ ინდობენ როგორც ბავშვებს, ასევე ქალაქებს, მოხუცებს, ხოცავენ ყველას...

– ძალიან განვიცდი, როცა ამბობთ, რომ ისინი არ ინდობენ ბავშვებსა და ქალებს. ეს არის ვიღაცის პოლიტიკა. როგორ შეიძლება, მორწმუნე მუსლიმანმა, ღვთისმოშიშმა ადამიანმა ბავშვი მოკლას?! ეს წარმოუდგენელია, ფსიქოლოგიას მირღვევს. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ვიღაცები ისლამის შესაძულებლად ადამიანებს ბავშვებსა და ქალებს ახოცვინებენ. რა მნიშვნელობა აქვს, ვის ან სად კლავენ, 2008 წლის ომში არ დაიღუპნენ ჩვენი მოქალაქეები? მაშინაც ისე მტკიოდა, როგორც დღეს მტკივა. ეს ჩვენი ერის ტრაგედიაა, რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანია თუ მუსლიმანია.

**იმისთვის, რომ შეწყდეს ეს ძალადობა, აუცილებელია, ახალგაზრდებს მივცეთ შესაბამისი განათლება. ჩვენს ახალგაზრდებს უნდა ვასწავლოთ და ღიად უნდა ვისაუბროთ მრევლში იმაზე, რა არის ისლამი, რა არის ყურანი, რას ბრძანებს შუამავალი. საზოგადოებაში უკვე არის ისლამის შიში, ეშინიათ მუსლიმანის. ეს გააკეთეს იმ ბოროტმოქმედებმა, რომლებიც ცდილობენ, შეურაცხყონ ისლამისა და ყურანის სახელი.**

ერთ-ერთი ვერსიით, მუსლიმანი ახალგაზრდების რადიკალიზაცია ასევე ხდება ახლო აღმოსავლეთში არსებულ სხვადასხვა სასწავლებლებში. ამ ახალგაზრდებს შორის არიან პანკისელი ქისტები, გაცილებით მეტნი არიან აჭარლები და ასევე, წალკის რაიონიდან. მართალია, ვერავის აუკრძალავ სასწავლებლად წასვლას, მაგრამ რას ვიღებთ შედეგად? სწორედ ამისთვის არის საჭირო მუშაობა. ბათუმში უკვე გადმოგვეცა შენობა, სადაც უნდა გაიხსნას რე-



ლიგიური სასწავლებელი. ასეთი სასწავლებლები გაიხსნება არა მარტო ბათუმში, არამედ თბილისშიც.

– რელიგიური სასწავლებლის გახსნა იქნება შემაკავებელი პროცესი ახალგაზრდებისთვის, რომ სასწავლებლად არ გაემგზავრონ ახლო აღმოსავლეთში და იქიდან არ შეუერთდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე და სახელმწიფოსთან ერთად ვზრუნავთ, რომ გავხსნათ სასწავლებელი და ეს პროცესები შევაჩეროთ. ჩვენ თვითონ ვიყოთ ჩვენი ახალგაზრდების მასწავლებლები, ჩვენ თვითონ ვასწავლოთ ქვეყნისა და ისლამის კულტურა.

– როდის გაიხსნება ბათუმში რელიგიური სასწავლებელი?

– ერთი თვეა, რაც შენობა გადმოგვეცა, ახლა ვმუშაობთ მის რესტავრაციაზე. რაც შეიძლება მალე გვინდა, დავიწყოთ მუშაობა, რომ ადგილზე აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობა, ადგილზე მოხდეს მათთვის განათლების მიღება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ისეთ ქვეყნებში არ წავიდნენ სასწავლებლად, სადაც შესაძლებელია, ისინი გახდნენ რადიკალები. როგორც გითხარით, ჩვენთან ერთად ამ საკითხების მოგვარებაზე მუშაობს სახელმწიფოც. ვაპირებთ, გავაკეთოთ ისლამის თეოლოგიური ფაკულტეტი.

**ვფიქრობ, რომ საჭიროა, თვეში ერთხელ ტელევიზიით რელიგიური საათის გამოყოფა, რომ ჩვენმა თეოლოგებმა მრევლს აუხსნან, რას ნიშნავს ტრადიციული ისლამი, მოხდეს ყურანის ციტატების განმარტებების გადმოცემა. მე ვუყურებ ადამიანს, ვხედავ, რომ ის არის მორწმუნე, მაგრამ ვისთან და რა კონტაქტები აქვს, ამას ვერ შევამოწმებ, ეს უკვე სახელმწიფოს ვალდებულებაა.**

ისლამის რელიგიის მიმდევარი ყველაზე სამაგალითო ადამიანი უნდა იყოს, მსოფლიოს მაგალითი უნდა მისცეს და არა ის, რომ მთელი მსოფლიო დააყენოს ფეხზე. შუამავალი არასდროს არ ქადაგებდა იმას, რომ ადამიანმა ადამიანი გაანადგუროს. ვერ წარმოვიდგენ, ყურანის მკითხველი ადამიანი აფეთქებდეს სხვა ადამიანს და თავს იფეთქებდეს. ისლამში თავის მოკვლა არ არის მიღებული. ამიტომ არ მაქვს პასუხი კითხვაზე, რატომ მიდიან სირიაში.

– რას აკეთებთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმანთა სულიერი ლიდერები იმისთვის, რომ თქვენი მრევლი არ გახდეს რადიკალი, არ შეუერთდნენ ტერორისტულ დაჯგუფებებს?

– ვმუშაობთ, ვქადაგებთ, სახლებშიც დავდივართ. გარდა ამისა, არის რელიგიური დღესასწაულები, სადაც ასევე ვქადაგებთ. საუკუნეების მანძილზე არსებობდნენ საქართველოში ტრადიციული ისლამის მიმდევრები, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა პრობლემები. 10-15 წლის წინათ დაიწყო ისლამოფობიაზე მუშაობა. შეცდომაში შეჰყავთ ბავშვები და ახალგაზრდები.

– ბათუმის მკვიდრის ჭაღალიძის მიმართვა გექნებათ ნანახი, ის ემუქრება საქართველოს საპატრიარქოს, ემუქრება ქრისტიანებს. რას იტყვით ამაზე?

– ძალიან მძიმე მოსასმენი იყო. ღმერთმა გამოასწოროს და ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს. ყველა გვაშოროს ასეთი ცოდვებისგან. ღმერთს ვთხოვ, რომ მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში და პირველ რიგში, ჩვენს საქართველოში.

– უმძიმესი ბრალდებით არის დაკავებული პანკისელი მუფტი, რომელსაც ბრალად ედება „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდასაჭერად პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების გაყვანა. ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ხშირად გაყვანის პროცესს კურირებს მუფტი. სულიერი ლიდერის მხრიდან ეს არ არის დანაშაული?

– მუფტის მხრიდან ყველა მიუღებელია, ვინც რელიგიურ გზას გადასცდება. ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ სიყვარულისა და სიმშვიდისკენ ვიყოთ მოწოდებული. იცით, რაც არ უნდა გაბრაზებული ყოფილიყო მუჰამედ შუამავალი ურწმუნოებზე, მათ არ დასწყევლიდა, პირიქით, მათთვის ლოცვას აღავლენდა და ღმერთს სთხოვდა, ესენი გამოასწორე და ჭეშმარიტ გზაზე დააყენეო. გეკითხებით, ასეთი შუამავლის უკან მყოფი ადამიანები როგორ შეიძლება რადიკალები იყვნენ?!

ყურანში ღმერთი ბრძანებს, თუ ადამიანმა, ადამიანი შეგნებულად მოკლა, მას მთლიანი კაცობრიობის მკვლელობა ეწერება ცოდვად. აქედან გამომდინარეც ჩანს, რომ ისლამი არ არის მოძალადე, თუ ადამიანები აშავებენ, ეს არ უნდა მივაწეროთ ისლამს, ყურანსა და რელიგიას. არც ერთი ადამიანის დანაშაული არ უნდა მიეწეროს მათ ღვთიურ წიგნს. ჩვენ ღმერთს ვთხოვთ, რომ ისინი, ვინც არასწორ გზაზე არიან, გამოასწოროს და ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თემქაზე მამაკაცი კორპუსის სახურავიდან გადმოვარდა




თემქაზე საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან მამაკაცი გადმოვარდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## გია ნოდია: უფრო მიმყარდება ეჭვი, რომ ბატონი ლევან ვასაძე ფარული ჰომოსექსუალია



სულ უფრო მიმყარდება ეჭვი, რომ ბატონი ლევან ვასაძე ფარული ჰომოსექსუალია. აშკარა ობსესია აქვს ამ თემით. მხოლოდ პოლიტიკური სტრატეგიით ან რუსული კავშირებით ვერ ვხსნი, რატომ ლაპარაკობს ყოველთვის ამ თემაზე, – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გია ნოდია. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თუ დავით ბორჩაშვილი არ გაათავისუფლეს, მაშინ სახეზე გვაქვს პუტინ-ობამას გარიგება“




„ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული დავით ბორჩაშვილის საქმეს ეხმიანება. როგორც ნანა კაკაბაძე აცხადებს, დავით ბორჩაშვილი წელიწად-ნახევარზე მეტია, რაც სირიაში იმყოფებოდა.

მისივე თქმით, თავად ბორჩაშვილი აღიარებს, რომ თავისუფალი არმიის წევრი იყო, იმ არმიის, რომელსაც დასავლეთი მხარს უჭერდა და აფინანსებდა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.

„არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ბორჩაშვილი ნამდვილად ამ არმიის წევრი იყო. თუ ეს ადამიანი იყო კრიმინალი და მას დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაშინ მისი დაპატიმრება პირველივე დეპორტაციის დროს უნდა მომხდარიყო. ეს ასე არ მოხდა, დეპორტირების შემდეგ ამ ადამიანს უთხრეს, ან დაბრუნდი თურქეთში, ან ჩვენ დაგაპატიმრებთო, რაც აბსოლუტურად გაუგებარი მიდგომაა ხელისუფლების მხრიდან. მხოლოდ მეორე დეპორტაციის შემდეგ მოხდა ბორჩაშვილის დაკავება“, – აღნიშნა კაკაბაძემ.

უფლებადამცველი ვარაუდობს, რომ სირიაში მყოფი თავისუფალი მებრძოლებისა და ოპოზიციური წევრების მიმართ დასავლეთმა პოლიტიკა შეცვალა.

„ეს არის ჩემი პირადი აზრი, თუმცა ამ აზრს აქვს უფლება, იარსებოს. მას შემდეგ, რაც მოხდა ბარაკ ობამასა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა, ამ მიმართულებით პოლიტიკა შეიცვალა და ვფიქრობ, რომ ბორჩაშვილის საქმეც ამ პოლიტიკის შედეგია. დეკლარირებულია ის, რომ თურმე დასავლეთისთვის აღარ არის მნიშვნელოვანი ასადის რეჟიმის შეცვლა, ახლა პრიორიტეტი სხვა რამ არის. იმის დეკლარირება, რომ ასადის რეჟიმის შეცვლა დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო და დღეს აღარ არის, მნიშვნელოვანია, ამის უკან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ პუტინისა და ობამას შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზეც დღეს რუსეთს მიეცა საშუალება, თავისუფალი არმიისა და ოპოზიციის წინააღმდეგაც განხორციელდეს ფაქტობრივად იგივე ქმედებები. აფეთქება, განადგურება და მოკვლა თუ არა, შესაძლოა, არის გარკვეული მითითება, რომ ამ ადამიანების გაუვნებელყოფა მოხდეს, როგორც ბორჩაშვილთან დაკავშირებით მოხდა. ვნახოთ, დასავლეთი, იგივე ამერიკის საელჩო, როგორ რეაგირებას მოახდენს ბორჩაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით. თუ ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყვა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს იყო შეთანხმების შედეგი. შესაძლოა, თავისუფალი არმიის წევრები საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. დღეს დავით ბორჩაშვილის გისოსებს მიღმა მოქცევა, სხვა არაფერია, თუ არა იმ პოლიტიკის კურსის შეცვლა, რომელიც დასავლეთს ამ ადამიანების მიმართ ჰქონდა. თუ დღეს ბორჩაშვილის დევნა თავისუფალი არმიის წევრობის გამო მოხდა, მაშინ ფაქტია, დასავლეთმა შეცვალა თავისი მიდგომები. თუ არ მოხდა ამერიკული მხარის სერიოზული ჩარევა და ბორჩაშვილის განთავისუფლება, მაშინ სახეზე გვაქვს რაღაც სხვა გარიგება, არა ის, რაც დღეს მსოფლიო საზოგადოებამ იცის, არამედ ის გარიგება, რაც პუტინ-ობამას შეხვედრის უკან დგას და რომლის შინაარსიც დღეს არავინ იცის“, – აღნიშნა კაკაბაძემ.

მისი განმარტებით, საქმის მასალებიდან, მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დავით ბორჩაშვილს არანაირ ტერორიზმთან კავშირი არ ჰქონია, არანაირი მტკიცებულება არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ ის ტერორისტებთან ერთად იბრძოდა.

დავით ბორჩაშვილს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება. (pia.ge)

# უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მოქალაქეებს და ბიზნესს დააზარალებს





დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილება, ბიზნესსუბიექტებსა და სამეწარმეო გარემოს ზიანს აყენებს. ანუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას რომ დადებ, როგორც უზრუნველყოფის საშუალებას, აღმოჩნდები მოტყუებული. ვიღაც დავალებას შეგასრულებინებს და შესრულებულ სამუშაოსთან ერთად, საბანკო გარანტიასაც, თანხის სახით წაიღებს, შენ კი ვერ მოედავები, იმიტომ, რომ საამისო ბერკეტი უკვე აღარ გრჩება.**

**კონკრეტულად ვის ეხება და ვის დააზარალებს მიღებული გადაწყვეტილება? რა ბერკეტი აქვს პარლამენტს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე რეაგირებისთვის?**

**„ალიას" „ახალგაზრდა ადვოკატების" იურისტი ანა კიკნაძე ესაუბრა:**

– „ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წლის 28 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას ვეხმაურებით, რომლის მიხედვითაც, საბანკო გარანტიის გამოყენების მიზანი და დანიშნულება, ქვეყანაში სამართლებრივ სტატუსს კარგავს. სასამართლოს ერთი მოსამართლის გადაწყვეტილება, ქვეყანაში არამართლზომიერ პრაქტიკას ამკვიდრებს, რაც ზიანს აყენებს სამეწარმეო ურთიერთობებსა და ბიზნესსაქმიანობას. დაშვებული პრეცედენტი საშუალებას აძლევს კომპანიებს, მოიქცნენ არაკეთილსინდისიერად, მიიღონ შესრულებაც და ამავე დროს მიიღონ საბანკო გარანტიაც, რის შედეგადაც, შემსრულებელი კომპანიები იღებენ დიდ ზიანს, ხოლო დამკვეთი კომპანიები მდიდრდებიან.

ორგანიზაციამ შეისწავლა საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის დაინტერესებული მხარე „საქართველოს ბანკი" და მისი შვილობილი კომპანია „დაირექტ დებიტ ჯორჯიაა". ბანკის შვილობილ კომპანიასა და შემსრულებელ სუბიექტს შორის არსებობდა 2012 წლის მარტში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელი კომპანია ვალდებული იყო, 170 ცალი ფეიბოქსი საკუთრებაში გადაეცა შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის". ამავე დროს, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასა" და „პრივატბანკს" შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, შემსრულებელი კომპანიის სასარგებლოდ გაიცა საბანკო გარანტია 200 000 ლარის ფარგლებში. აღნიშნულ დავაზე, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, შემსრულებელმა კომპანიამ სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ბანკის შვილობილი კომპანიის მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, საბანკო გარანტიის მიღებაც კანონიერი იყო.

**— აქ რასთან მიმართებაში გაქვთ კითხვის ნიშნები?**

– ჩვენი შეფასებით, საკასაციო სასამართლო მსჯელობა არამართლზომიერია, ვინაიდან საბანკო გარანტია არ შეიძლება გაგებული იქნას ისე, თითქოს ბენეფიციარს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს როგორც შესრულება, ასევე საბანკო გარანტიით განსაზღვრული ზიანის საკომპენსაციო თანხა. საბანკო გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად, მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიას და არ შეიძლება განხილული იქნას ნებისმიერ შემთხვევაში, მისაღებ კომპენსაციად.

**— კანონით როგორ რეგულირდება ეს რეალურად?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას, საბანკო გარანტია თავისი არსებით წარმოადგენს მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, ანუ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი კომპანია ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებდა, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას" ჰქონდა უფლება, მოეთხოვა საბანკო გარანტიის მიღება. მოცემული შემთხვევის მიხედვით, კომპანიამ შეასრულა სრულად ნაკისრი ვალდებულება, მიაწოდა შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას" ფეიბოქსები, თუმცა ნაწილი მიაწოდა ვადაგადაცილებით, ამავე დროს, ვადის გადაცილების გამო, პრეტენზია არ გამოუთქვამს შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას".

ბანკის შვილობილმა კომპანიამ, მას შემდეგ, რაც სრულად მიიღო ნასყიდობის საგანი, ჩაიბარა ფეიბოქსები, მიმართა „პრივატბანკს" და მოითხოვა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად გადახდა. შედეგად მიიღო 200 000 ლარი, რაც, მისი განმარტებით, წარმოადგენდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისთვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს. საბანკო გარანტიის უკანონოდ მიღების საფუძველზე, მხარეებს შორის დავა სასამართლოში გაგრძელდა.

მიღებული გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლო ამკვიდრებს პრაქტიკას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სამეწარმეო საქმიანობას, არამართლზომიერ და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს. დამკვიდრებული პრაქტიკა ალოგიკურია და ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს, რადგანაც გარანტიით გათვალისწინებული თანხის მიღება იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ხელშეკრულების მხარის მიერ დარღვეულია ძირითადი ვალდებულება. მთავარი – სასამართლოს არ გამოურკვევია და არც მხარეს წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ შემსრულებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის დარღვევით მას მიადგა რაიმე სახის ზიანი, რას შეადგენდა მიყენებული ზიანის ოდენობა. სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად მართებულად მიიღო ბანკის შვილობილმა კომპანიამ საბანკო გარანტიის მაქსიმალური ოდენობა იმ ფონზე, როდესაც შემსრულებელი კომპანიის მიერ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაც.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ეს მასობრივი გახდება და მეწარმეებს დააზარალებს?**

– აქ საუბარია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ეს რომ იყოს სხვა ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილება, არ იქნებოდა ამდენად საგანგაშო. აქ საუბარია უზენაეს სასამართლოზე და ესაა ძალიან ყურადსაღები ფაქტი. უზენაესი რასაც იტყვის, გამოდის, რომ შემდეგ ეს პრაქტიკად უნდა იქცეს. კანონში კი არ იწერება ეს, მაგრამ, როცა ერთ გადაწყვეტილებას იღებენ ასეთს, პრეცედენტულს, შემდეგ სხვაც იგივენაირად მიჰყვება ხოლმე, იმით ხელმძღვანელობენ და ნებისმიერი მოქალაქე შესაძლოა, გახდეს იგივე შემთხვევის მსხვერპლი.

**— რას აპირებთ?**

– „ახალგაზრდა ადვოკატები" რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, გადაიხედოს 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამკვიდრებული პრაქტიკა და ამასთანავე, მიმართავს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს დამკვიდრებული პრაქტიკის კანონიერებისა და მართლზომიერების შესწავლის მიზნით.

რა შეუძლია ამ შემთხვევაში პარლამენტს? ამ კითხვით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ხმალაძეს მივმართეთ: „პარლამენტს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევის არანაირი უფლება არ აქვს. არათუ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაშიც კი. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი არის სწორედ ის, რომ ხელისუფლების ვერც ერთი შტო ვერ ჩაერევა მის საქმიანობაში. არ აქვს ამის უფლება, უბრალოდ. მეტსაც გეტყვით, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი სახის განცხადება – შექება, ან გაკრიტიკებაც კი, განცხადების დონეზე, ითვლება, რომ არის დაუშვებელი. ვერ ვიტყვით – აი, საზიზღარი სასამართლო, ეს რა გადაწყვეტილება მიიღოო, იმიტომ რომ ამას პოლიტიკურ ზეწოლად განიხილავენ. აი, ესეც კი არ შეიძლება და რაიმე სახის აქტივობაზე, ჩარევაზე, ან მოწოდებაზე საუბარი ჩვენი მხრიდან, ზედმეტიც კია".

**„აქ საუბარია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ეს რომ იყოს სხვა ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილება, არ იქნებოდა ამდენად საგანგაშო. აქ საუბარია უზენაეს სასამართლოზე და ესაა ძალიან ყურადსაღები ფაქტი. უზენაესი რასაც იტყვის, გამოდის, რომ შემდეგ ეს პრაქტიკად უნდა იქცეს. კანონში კი არ იწერება ეს, მაგრამ, როცა ერთ გადაწყვეტილებას იღებენ ასეთს, პრეცედენტულს, შემდეგ სხვაც იგივენაირად მიჰყვება ხოლმე, იმით ხელმძღვანელობენ და ნებისმიერი მოქალაქე შესაძლოა, გახდეს იგივე შემთხვევის მსხვერპლი"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ბარაკ ობამა — თურქეთს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი საჰაერო სივრცე



რუსული „სუ-24"-ის ჩამოგდების ფაქტის კომენტირებისას, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ თურქეთს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი საჰაერო სივრცე.

ამერიკის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთმა და თურქეთმა უნდა განიხილონ ინციდენტი, რომელიც თვითმფრინავის ჩამოგდებას უკავშირდება და უნდა მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან ესკალაცია.

– ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ახლა, რომ რუსეთმა და თურქეთმა დაიწყონ ერთმანეთთან საუბარი და გაარკვიონ, კონკრეტულად რა მოხდა და მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან მომდევნო ესკალაცია. თურქეთს, ისევე, როგორც ნებისმიერ ქვეყანას, აქვს უფლება, დაიცვას თავისი ტერიტორია და საჰაერო სივრცე, – განაცხადა ბარაკ ობამამ. (ინტერპრესნიუსი)

## ISIS-ის ქართველი მებრძოლის დედის მიმართვა შვილს — „ჭკუაზე მოვიდეს და ცოლ-შვილს დაუბრუნდეს"



ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" მიერ გავრცელებული ვიდეომიმართვის ერთ-ერთი მონაწილის ბადრი ირემაძის დედა, რომელიც გურიის სოფელ ნასაკირალში ცხოვრობს. შვილს მოუწოდებს, გონს მოეგოს და საქართველოში დარჩენილ ცოლ-შვილს დაუბრუნდეს.

– ჩემი შვილი თურქეთში სამუშაოდ სექტემბრის დასაწყისში წავიდა. მე მხოლოდ ვიცოდი, რომ თურქეთში სამუშაოდ მიდიოდა, ფული მჭირდებაო. ის უკვე წასული იყო, როდესაც მისი წერილი გადმომცეს, სადაც სამუდამოდ მემშვიდობებოდა. მეუბნებოდა, სამუდამოდ მივდივარო. სამუდამოდ გემშვიდობებიო. სანამ წავიდოდა, მითხრა, რომ მუსლიმან ქვეყანაში მინდა წასვლაო. ამბობდა, მუსლიმანებს უნდა დავეხმაროო. მე ვუთხარი, – როგორ მტოვებ-მეთქი. მეც შემომთავაზა, რომ წავსულიყავი, მაგრამ უარი ვუთხარი. ის შვილს ელოდებოდა და მეგონა, ბავშვი გადააფიქრებინებდა. საიდან ვიცოდი, ვისთან ჰქონდა კავშირი, ის ხშირად დადიოდა ბათუმში სალოცავად. მან დატოვა მეუღლე და შვილი. ჩემი რძალი დედასთან არის წასული, ჩვენი სახლიდან წასულია. რაღაც უკმაყოფილება მოუვიდათ, ალბათ, წასვლასთან დაკავშირებით, – აცხადებს მერი ირემაძე. (kvira.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მოჭადრაკე გარი ...
2. „გლახის ნაამბობი“ პერსონაჟი
3. ფრანგი მხატვარი
4. ტბა უნგრეთში
5. ბანდეროლი
6. ფულადი გათამაშება
7. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
8. ავადმყოფური სიგამხდრე
9. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
10. წარწერა ფილმის ბოლო კადრზე
11. ბანდის მეთაური
12. მსახ. ... ჯიგარხანიანი
13. ხის ჯამი
14. მწერალი ... ქიაჩელი
15. რეჟისორი ანჯეი ...
16. მომღერალი ლოლიტა ...
17. ჩაის დეგუსტატორი
18. შტატი აშშ-ში
19. მსახიობი პიერ ...
20. გრამატიკის ნაწილი
21. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად“
22. იტალიელი კინორეჟისორი ძმები: პაოლო და ვიტორიო ...
23. ცოლის მამა
24. ნოტების დასადები დაფა
25. ვაჟა-ფშაველას პოემა
26. მსახ. ... ვარდალოსი
27. ოჯახი, ანუ ...
28. პატარა სასაცილო ამბავი
29. დროშა
30. მსახიობი ... ჩურიკოვა
31. მაკედონელის ცხენი
32. განდგომილი ანგელოზი
33. ერთგვარი აბაზანა
34. პოეტი ... ფოცხიშვილი
35. ქართველი ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ...
36. კუბის დედაქალაქი
37. ზღვაოსანი ჯეიმს ...
38. სანელებელი
39. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
40. ...-კლარჯეთი
41. ნიდერლანდების დედაქალაქი
42. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
43. აზრი, ანუ ...
44. ხორბლის გასალეწი მოედანი
45. მოგზაური ... პოლო
46. ერთგვარი ქუდი
47. ანტიკური ფოთი
48. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
49. ცხვრების ერთობლიობა
50. დედამიწის მიზიდულობა
51. სავაჭრო ცენტრი ...-მოლი
52. ჯეიმს კამერონის ფილმი
53. ტროას ბერძნული სახელწ.
54. ისტორიიდან: ... ბერია
55. ნიშნავს ცივს
56. მსახიობი ... კახიანი
57. რეჟისორი ლეონიდ ...
58. კურდღლის ნაშიერი
59. მხატვარი ავთო ...
60. „... და ქოსატყუილა“
61. ანტილოპას სახეობა
62. ძვირფასი ლითონი
63. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
64. წარწერა საფლავის ქვაზე
65. მომღერალი ... ქერი
66. ზღაპრული ჯუჯა
67. ... ხაიამი
68. სამკურნალო ბალახი
69. ელვის ... პრესლი
70. ... კუზანოვი
71. შტატი აშშ-ში
72. ბანდერასის ნიღბიანი გმირი
73. შიში ცვლილებების წინაშე
74. ცხვრის ქონი
75. იტალიელი მხატვარი
76. პერსონა ...-გრატა
77. სოფოკლეს ტრაგედია
78. ვარამი
79. ბერძნული ანბანის მეორე ასო
80. თირკმლების დაავადება
81. ლერწმის შაქარი
82. ორკესტრის ნაწილი პარტიტურაში
83. მისი დედაქალაქია სოფია
84. ალპური ყვავილი
85. რომის პაპის გვირგვინი
86. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
87. ამ შენობაზე აღმართეს დროშა 9 მაისს
88. გიორგი სააკაძის სოფელი
89. რაიონი, სადაც ხალხი ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით არის თავმოყრილი
90. ნაგვის ასაღები
91. თმა ადამიანის თხემზე
92. მსახიობი ... კერტისი
93. ფილიპინების დედაქალაქი
94. ვაზის სასწლავი მაკრატელი
95. მსახიობი ჯენიფერ ...
96. ქრისტ. წმინდა თასი
97. მწყემსის მოსასხამი
98. მსახიობი ... რაიანი
99. კიმონოს აქსესუარი
100. ქართ. ანბანის ბოლო ასო
101. ქალაქი საფრანგეთში
102. ხორთუმიანი ცხოველი
103. „ანჟელიკა ანგელოზების ...“
104. მინერალ. წყალი ჯავის რაიონში
105. ჩინური იალქნ. გემი
106. ზამთრის თვე
107. ბოსტნეული
108. თევზის ჯიში
109. სასახლე
110. დაესმის არსებით სახელს
111. მსახიობი ... სპეისკი
112. გამის ნოტი
113. მსახიობი იგორ ...
114. ფოლად ბულბულ ...
115. მდინარე საფრანგეთში
116. ნიკო ლომოურის მოთხრობა
117. ... ხეთაგუროვი
118. ავტოსაგზაო შემთხვევა
119. ბილიარდის ჯოხი
120. ღორმად შეჭრილი ნავსაყუდელი
121. კოცნა
122. გაფუჭებული კვერცხი
123. დედნიდან გადაღებული პირი
124. ჩილეს დედაქალაქი
125. 100სმ
126. მუსიკის მოყვარული
127. აღორძინების ეპოქა
128. „... კარენინა“
129. ტენორი მარიო ...
130. მომღერალი ... სუმაკი
131. ჯამის ფორმის სასმისი
132. „კუჩხი ბედინერი“ ძაღლი
133. თოვლის კაცი
134. იუპიტერის თანამგზავრი
135. ძალიან იშვიათი ნივთი
136. ყვავილი
137. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
138. მისი დედაქალაქია რომი
139. ვირას საპირისპირო ბრძანება
140. მსახიობი ... დე ფიუნესი
141. სოფელი ბორჯომის რაიონში

პასუხები: 1. კასპაროვი; 2. გაბრიელი; 3. კურბე; 4. ბალატონი; 5. ამანათი; 6. ლატარია; 7. ტამიში; 8. ანორექსია; 9. „ანადეუსი“; 10. დასასრული; 11. ატამანი; 12. არმენ; 13. გობი; 14. ლეო; 15. ვაიდა; 16. ტორესი; 17. ტიტესტერი; 18. აიდაჰო; 19. რიშარი; 20. სინტაქსი; 21. რაიანის; 22. ტავიანები; 23. სიმამრი; 24. პიუპიტრი; 25. „გველის-მჭამელი“; 26. ნია; 27. ჯალაბი; 28. ანეკდოტი; 29. ალამი; 30. ინა; 31. ბუცეფალი; 32. ლუციფერი; 33. ჯაკუზი; 34. მორის; 35. ოპიზრები; 36. ჰავანა; 37. კუკი; 38. დარიჩინი; 39. ციციკორე; 40. ტაო; 41. ამსტერდამი; 42. ლილუ; 43. არსი; 44. კალო; 45. მარკო; 46. კეპი; 47. ფაზისი; 48. სერ; 49. ფარა; 50. გრავიტაცია; 51. ლილო; 52. „ავატარი“; 53. ილიონი; 54. ლავრენტი; 55. კრიო; 56. იმედა; 57. გაიდაი; 58. ბაჭია; 59. ვარაზი; 60. ობოლი; 61. გნუ; 62. ოქრო; 63. ლარს; 64. ეპიტაფია; 65. მერაია; 66. გნომი; 67. ომარ; 68. მრავალძარღვა; 69. აარონ; 70. ივა; 71. ტეხასი; 72. ზორო; 73. რუტინა; 74. დუმა; 75. ტინტორეტო; 76. ნონ; 77. „ანტიგონე“; 78. დარდი; 79. ბეტა; 80. ურემია; 81. გლუკოზა; 82. ტუტი; 83. ბულგარეთი; 84. ედელვაისი; 85. ტიარა; 86. კილტი; 87. რაიხსტაგი; 88. ნოსტე; 89. გეტო; 90. ქოჩორი; 92. ტონი; 93. მანილა; 94. სეკატორი; 95. ენისტონი; 96. გრაალი; 97. ნაბადი; 98. მეგ; 99. ქამარი; 100. ჰაე; 101. ავინიონი; 102. სპილო; 103. მარკიზა; 104. ძუა; 105. ჯონკა; 106. თებერვალი; 107. ისპანახი; 108. ქარიყლაპია; 109. სრა; 110. ვინ; 111. სისი; 112. სი; 112. ილინსკი; 114. ოლლი; 115. „ქაჯანა“; 117. კოსტა; 118. ავარია; 119. კიი; 120. პირსი; 121. ამბორი; 122. ლაყე; 123. ასლი; 124. სანტიაგო; 125. მეტრი; 126. მელომანი; 127. რენესანსი; 128. ანა; 129. ლანცა; 130. იმა; 131. ფიალა; 132. ბროლია; 133. იეტი; 134. იო; 135. რარიტეტი; 136. ია; 137. სირ; 138. იტალია; 139. მაინა; 140. ლუი; 141. ცემი. იკითხება: პირს ბროსნანი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## 3 რამ, რაც უკეთესი ცხოვრების მიზნით სახლიდან სასწრაფოდ უნდა მოიშოროთ



ძველი ჩინელები ფიქრობდნენ, რომ ყველა ნივთს თავისი ენერგია ჰქონდა, ამ მოსაზრების მართებულობას თანამედროვე მეცნიერების კვლევებიც ადასტურებს. ფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ მატერიალური სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ენერგიის უზარმაზარი ზღვა და ყველაფერი ვიბრირებს.

ჩინელები დამანგრეველ ენერგიას „ში ცი"-ს უწოდებენ, ის პრობლემებს იზიდავს, ნეგატივს, უარყოფითი ენერგიაა „სი ცი"-ც, რომელიც აპათიას იწვევს, ადამიანს ცხოვრების ხალისს უკარგავს და ინდიფერენტულს ხდის. ამ ენერგიას ჩვენს სახლში არსებული ნივთები იზიდავს.

**დაზიანებული ჭურჭელი**

ალბათ, ყველა სახლში მოიძევება გაბზარული ჭურჭელი: ყურმოტეხილი ფინჯანი, ატკეჩილი თეფში, სახელურმომძვრალი ქვაბი, თუ ტაფა, რომელიც ჯერ კიდევ ასრულებს თავის ფუნქციას. მათი გადაყრა გვენანება, რადგან შეჩვეულები ვართ, ან თანხის დაზოგვას ვცდილობთ... არადა ფენ შუის მიხედვით, ასეთი დეფექტის მქონე ნივთები სწორედ ბზარებიდან იზიდავს უარყოფით ენერგიას. ჭურჭელი სიმდიდრისა და შემოსავლის სიმბოლოა. გაბზარული ჭურჭლის სახლში დატოვება გახეულ ჯიბეში ფულის ჩაყრას ჰგავს. მისგან სასწრაფოდ უნდა განთავისუფლდეთ. სახლში მხოლოდ ლამაზი



და მთელი ჭურჭელი დაიტოვეთ, რომელიც თქვენს სახლს პოზიტიური ენერგიით აავსებს. ამ ენერგიას „შენ ცი" ეწოდება.

ძველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ყველას გვიყრია სახლში ერთი წყვილი ქუსლებგადალეული ფეხსაცმელი, გაცვეთილი შარვალი, გაქუცული პალტო, ან თვალწასული სვიტერი. „გვიყვარდა და ვერ ველევით", „რა იცი, რაში დაგვჭირდეს", ეგებ „ოდესმე კიდევ ჩავიცვათ", არადა დევს ეს ძველი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი და ედება მტვერი. ხანდახან საერთოდ გვავიწყდება მისი არსებობა. ის კი იზიდავს უარყოფით ენერგიას და საშინელ აურას ქმნის, რომელიც გზა-კვალს გვირევს, აპათიურ მდგომარეობაში გვამყოფებს და ცხოვრების მიზანს აბუნდოვნებს. ამგვარი ნივთების სახლში შენახვისას სახლის ბინადრები დეპრესიისკენ მიდრეკილნი ხდებიან, მოქმედების მოტივაცია უქრებათ. დაალაგეთ გარდერობი და მოიშორეთ ძველი ნივთები, რომელსაც არ



ხმარობთ. ნუ ინახავთ ნაგავს სახლში. გამოათავისუფლეთ ადგილი საჭირო რამეებისთვის. ჩაატარეთ ექსპერიმენტი და ნახეთ, ეგებ უახლოეს მომავალში საყვარელ ადამიანს შეხვდეთ, საჭირო შენაძენი გააკეთოთ, ან უბრალოდ უკეთესი სამსახური ნახოთ.

**ხელოვნური ყვავილები**

ფენ-შუი ხელოვნური ყვავილების სახლში შენახვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ეს უარყოფითი ენერგიის მაგნიტია. გაგიგიათ გამოთქმა, რომ ცოცხალი ყვავილები ცოცხლებისთვისაა, ხოლო მკვდარი მკვდრებისთვის? ხელოვნური ყვავილები მკვდარია და ის საფრთხეს უქმნის მაცხოვრებლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალი ყვავილი ალოეც კი არ არის სასურველი, რომ საძინებელში, სამზარეულოში ან სასტუმრო ოთახში გვედგას, უკეთესია, თუ აივანზე გავდგამთ.

*mental.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## 12 წლის გოგონამ მოჩვენებითი კლოუნის თქმით, დედინაცვალი მოკლა



ამერიკის შტატ ინდიანაში 12 წლის გოგონამ დედინაცვალი დანით მოკლა. შემდგომში, როგორც თავად ამბობდა, მკვლელობა პარანორმალური ისტორიების საიტის ერთ-ერთმა პერსონაჟმა აიძულა.

სასამართლო დოკუმენტების თანახმად, გოგონას დისოციაციური იდენტობის აშლილობა სჭირს. ეს დასკვნა სამმა ექიმმა დაადასტურა. ამასთანავე, ორმა მათგანმა აღნიშნა, რომ გოგონას პოსტტრავმული სტრესული სიმპტომები აღენიშნება. როგორც გაირკვა, დედინაცვლის მკვლელობამდე ორი თვით ადრე გოგონა მამას დახმარებას სთხოვდა. შედეგით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მამას შვილის თხოვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ფსიქიატრების თქმით, დაუშვებელია არასრულწლოვნის გასამართლება. უკეთესია, თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანენ, მაგრამ უკვე 16-მა ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ განაცხადა არასრულწლოვნის მიღებაზე უარი. გოგონა ჯერჯერობით არასრულწლოვანთა ცენტრში იმყოფება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ტერორისტული დაჯგუფების წევრებად თავს... ხუმრობის გამო ასაღებდნენ



ხუმრობა ყოველთვის მისაღებია, მაგრამ ზოგიერთი ხუმრობისთვის მაინც სჯობს, პირველ აპრილს დაველოდოთ, ცოტათი მაინც რომ გამართლდეს.

გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, სკოლაში 8 შეიარაღებული ახალგაზრდა შევარდა, ილანძღებოდნენ, იარაღით იმუქრებოდნენ და ამბობდნენ, რომ ტერორისტული დაჯგუფება „იჰილის" წევრები იყვნენ. როცა ერთ-ერთი მასწავლებელი მიუახლოვდათ და ჰკითხათ, რას აკეთებდნენ სკოლის ტერიტორიაზე, მათ ლანძღვა დაიწყეს და იარაღი დაუმიზნეს. მასწავლებელმა გაქცევა და პოლიციის გამოძახება შეძლო. რამდენიმემ გაქცევა მოახერხა, დანარჩენი კი პოლიციამ აიყვანა.

სკოლის დირექტორმა ახალგაზრდების ამ საქციელს ამაზრზენი უწოდა. მით უმეტეს, რომ პარიზის ტრაგედიიდან არც ისე დიდი დროა გასული. პოლიციელების თქმით კი, არავინ დაზარალებულა, არაფერი მოუპარავთ, უფრო მეტიც, მათი იარაღი ყალბი აღმოჩნდა, ეს უბრალოდ ცუდი ხუმრობა იყო.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## რატომ გადაწყვიტეს ჩინელებმა ოთხზე დამდგარებმა იარონ?



ჯანმრთელობა – ის, რაც ყველაფერი არ არის და რომლის გარეშეც ყველაფერი არაფერია. თუ გვინდა ჩვენს მიღწეულსა და მოხვეჭილს ყველაფერს ფასი ჰქონდეს, ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი ყველა ხერხი მისაღებია, მათ შორის, პარკში დაოთხილი სიარულიც.

ჩინეთის პარკებში, ყოველ დილით ასობით ადამიანი გამოდის, რათა ოთხივე კიდურით იმოძრაოს. მათი თქმით, ასე სიარული ზურგისა და კისრის არეში ტკივილებს ხსნის. ეს არის ექიმებთან ვიზიტებისა და ძვირად ღირებული მედიკამენტებისგან თავის დახსნის საუკეთესო გზა.

პრაქტიკა ჩინეთში მე-2 საუკუნით თარიღდება და ხანების დინასტიას უკავშირდება. ერთ-ერთი მოხალისე ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ფეხებიდან ხელ-ფეხით სიარულზე გადავიდა, კუნთების დაძაბულობა მოეხსნა და წნევაც დაურეგულირდა. ჩინელები ექსპერტების რეკომენდაციებს იყენებენ, რომლებიც ურჩევენ, როგორ უნდა გადაადგილდნენ ხელებითა და ფეხებით, რომ ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს. ექსპერტი დუნის თქმით, უკვე 6 წელია, ასე მოძრაობს და მიუხედავად თავისი 90 წლის ასაკისა, თავს მშვენივრად გრძნობს. ძველ ჩინეთში ექიმები ხერხემლის არეში ტკივილის მოსახსნელად, თავიანთ პაციენტებს სთხოვდნენ, სხვადასხვა ცხოველების იმიტაცია გაეკეთებინათ, ვინაიდან ასეთ დროს მოძრაობაში ის კუნთებიც ერთვება, რომლებიც სიარულისას უმოქმედოდ არიან. თანამედროვე ექიმებს არაფერი აქვთ დაოთხილი სიარულის საწინააღმდეგო, მეტიც, ამბობენ, რომ ეს სისხლის მიმოქცევას, რადიკულიტთან და თავის ტკივილთან ბრძოლას ხელს შეუწყობს.

*mironov.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## რატომ სუქდებიან დაქორწინებული მამაკაცები?



მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რათა დაედგინათ, რატომ ვერ საზღვრავდნენ ცოლიანი კაცები კვების ნორმას.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, მიზეზი შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი აღმოჩნდა. ექსპერტების აზრით, კარგი მადა ქალებში ჯანმრთელობისა და მტკიცე აგებულების შთაბეჭდილებას აჩენს.

როგორც ირკვევა, კვლევაში 133 ადამიანი (74 კაცი და 59 ქალი) მონაწილეობდა. კაცები ქალების თანდასწრებით 93 პროცენტით მეტ პიცასა და 86 პროცენტით მეტ სალათს მიირთმევდნენ. დადგინდა ისიც, რომ კაცები კაცების თანდასწრებით და ქალები კაცების, ან ქალების თანდასწრებით ჭარბად არ ნაყრდებიან.

ერთადერთი, რისი რჩევაც კვლევის ავტორებმა შეძლეს, ესაა – „ხალხი უნდა დამშვიდდეს, როცა საწინააღმდეგო სქესის წინაშე იკვებება".

*lenta.ru*



– რა ვერ გამიგია, იცით? აი, ფილმებში დაპანიკებული მსხვერპლი ლამის 100 კილომეტრ/საათის სიჩქარით გარბის, მანიაკი სეირნობით მიჰყვება და მაინც ეწევა ხოლმე, ეს ახვარი...

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:

– ვინც ფიქრობს, რომ სულელია, ფეხზე ადგეს!

კლასში სიჩუმეა. ცოტა ხანში ბოლო მერხთან კოტე წამოიზლაზნა.

– აბა, კოტე, შენ ფიქრობ, რომ სულელი ხარ?

– არა, უბრალოდ, უხერხულია, მარტო თქვენ რომ დგახართ...

*****

– დილაობით დარბიხარ?

– როგორ არა?! ძირითადად, სახლში, ყვირილით – მაგის დედაც, ისევ დამაგვიანდა!!!

*****



– კოტე, უკანასკნელად გეკითხები საჩუქარზე – არ გადაიფიქრე?

– არა! მე უკვე 35 წლის, ჩამოყალიბებული მამაკაცი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ პულტიანი ვერტმფრენი მინდა!!!

*****

– აფთიაქში გავიარე, ფასები შევისწავლე და მივხვდი, რომ ბევრად იაფად გამოვალ, თუ მოვკვდები!

– მოდი, შენ კიდევ ერთხელ გაიარე და სარიტუალო მომსახურების ფასებიც შეისწავლე...

*****

– რთულია ჩემი ხელში ჩაგდება, ძალიან იოლია დაკარგვა და შეუძლებელია გამოყენება! დიპლომი

*****



ცოლი:

– მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოს!

ქმარი:

– ჰო, მამაკაცი ოდნავ ლამაზი უნდა იყოს მაიმუნზე, რომელთან ერთადაც ცხოვრობს...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## საჭესთან შეღებვის მოყვარული ქალი მძღოლების გამო, ბრიტანეთში ნახევარი მილიონი ავარია ხდება



კი უნდა იყვნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მუდმივად ფორმაში და თავიანთი გარეგნობით მამაკაცებს თვალებს უბრმავებდნენ, მაგრამ მაინცდამაინც საჭესთან შეღებვა და გალამაზება რომ საუკეთესო გადაწყვეტილება არ არის, ამაზე ბრიტანელი მზღვეველების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნაც მეტყველებს.

როგორც ირკვევა, მხოლოდ პრანჭია ქალების მიზეზით, ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით 500 ათასი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება.

ამასთანავე, ყოველი მეხუთე გამოკითხული ქალი მძღოლი გამოტყდა, რომ საჭის მართვისას კოსმეტიკური საშუალებები მინიმუმ ერთხელ მაინც გამოუყენებია.

გამოდის, რომ 15 მილიონი ქალი მძღოლიდან, რომლებიც ბრიტანეთში არიან დარეგისტრირებულები, საჭესთან ყოველწლიურად, როგორც მინიმუმ, 2,7 მილიონი მაინც იღებება და 500 ათასამდე ავარია უკვე გასაკვირი ნამდვილად აღარ არის.

საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხული ქალების 3 პროცენტი მაკიაჟის უადგილო ადგილას გამოყენების გამო, ავარიაში მინიმუმ ორჯერ არის მოყოლილი.

რაც ყველაზე გასაკვირია, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არ იჯერებენ, რომ „უწყინარი შეღებვის“ გამო ამდენი ავარია ხდება.

– ხშირად, თავის მოწესრიგების დრო არ გვაქვს და იძულებულები ვართ, მაკიაჟისთვის საჭესთან ჯდომის დრო გამოვიყენოთ, – თავს იმართლებენ ქალი მძღოლები.

ვერაფერს იტყვი, მტკიცე არგუმენტია, თუმცა...

*mainfun.ru*

## როგორ მოქმედებს დაავადებული კბილი გულზე?



ის, ვინც პირის ღრუს მოვლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მით უმეტეს, თუკი პირად ჰიგიენას საერთოდ ივიწყებს, სამწუხაროდ, ძალიან სერიოზულ პრობლემებს საკუთარ თავს სხვისი დახმარების გარეშე უქმნის.

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, ადამიანები, რომლებიც კბილების მოვლას პირველხარისხოვან მოვლენად არ მიიჩნევენ, გულის მუშაობას აფერხებენ, რაც თავისთავად ცხადია, სიკეთის მომტანი არავისთვის არ გახლავთ.

რაც ყველაზე მთავარია, რისკის ჯგუფში შედის არა მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც ღრძილების ქრონიკული ანთებით იტანჯება, არამედ საფრთხე ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ჰიგიენის ელემენტარული ნორმების უგულებელყოფის გამო, კბილებზე ნადები უჩნდებათ.

ინდიანას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა 500-მდე ადამიანის კბილების მდგომარეობა შეისწავლეს, მათ შორის, იმათიც, ვისაც, მართალია, ღრძილების ანთება არ ჰქონდათ, მაგრამ პირად ჰიგიენას ისეთსავე ყურადღებას აქცევდნენ, როგორც შარშანწინდელი თოვლის ფერს.

– კბილებზე ნადების გაჩენა ხელს უწყობს სისხლში ლეიკოციტების მატებას, რაც, თავის მხრივ, გულზე ახდენს უარყოფით გავლენას. შესაბამისად, პირადი ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაცვაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

*myjane.ru*

## დედის რძე ინფექციებისგან მხოლოდ გოგონებს იცავს?



საერთოდ, ჩვილების დედის რძით კვებას სპეციალისტები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათი რეკომენდაციებიც შესაბამისია, თუმცა ამერიკელი მეცნიერების მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბუნებრივი კვება ინფექციებისგან გოგონებს გაცილებით უკეთ იცავს, ვიდრე ვაჟებს.

როგორც ირკვევა, სპეციალისტები 1 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას სწავლობდნენ და აი, ასეთი დასკვნაც გამოიტანეს:

გოგონები, რომლებიც დედის რძით იკვებებოდნენ, გაცილებით იშვიათად ხვდებოდნენ კლინიკებში მწვავე რესპირატორული ინფექციების დიაგნოზით, ვიდრე ვაჟები, რომლებიც, ასევე, ბუნებრივ კვებაზე იმყოფებოდნენ.

ზუსტად რატომ ხდება ასეთი რამ, ამერიკელი მკვლევარები ზუსტ განმარტებას ვერ იძლევიან, თუმცა დედებს მაინც ურჩევენ, რომ შვილების კვება, თუნდაც მათი დაბადების პირველ თვეებში, ბუნებრივი გზებით ჯობია.

*pronowosti.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**25 ნოემბერი:** შესაძლოა, მოხდეს მოვლენები, რომლებიც აუცილებლად შეგეხებათ. როგორც ჩანს, საზრუნავი მოგემატებათ, მაგრამ სასიამოვნო პროცესი იქნება.

**კურო 22.04-21.05**

**25 ნოემბერი:** შეეცადეთ, არჩეული კურსიდან არ გადაუხვიოთ, თორემ იმავე გზაზე დაბრუნება იმაზე რთული იქნება, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**25 ნოემბერი:** ეგოიზმი დღეს არაფერს კარგს არ მოგიტანთ, მაგრამ სხვისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეგიძლიათ. შეეცადეთ, გვერდი არავის აუაროთ, დაეხმარეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**25 ნოემბერი:** თუ დღეს სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, ბევრ ხიფათს აიცილებთ თავიდან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს თავი გაუყადროთ, იყავით ის, ვინც ხართ.

**ლომი 23.07-22.08**

**25 ნოემბერი:** საკუთარი ნაღვაწით კმაყოფილი დარჩებით. თუ რამე იდეა მოგივათ, დრო არ დაკარგოთ, განახორციელეთ და შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს.

**ქალწული 23.08-22.09**

**25 ნოემბერი:** სანამ კითხვას უპასუხებთ, ტექსტის არსს ჩაუღრმავდით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**25 ნოემბერი:** ფინანსურ საკითხებს მიხედეთ, ყველაფერი არც ისე კარგადაა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. დროა, მევალეები მოინახულოთ და თქვენი ფული მოითხოვოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**25 ნოემბერი:** კეთილგანწყობილი იქნებით და ბევრი რამის კეთებას მოინდომებთ. ეცადეთ, დრო ტყუილად არ დაკარგოთ, აუცილებლად დაგიფასდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**25 ნოემბერი:** როგორც ჩანს, დღეს წყლის სტიქია მიგიპყრობთ. ძალიან ფრთხილად იყავით, ზედმეტებში არ გადახვიდეთ, თორემ სანანებლად გექნებათ საქმე.

**თხის რქა 22.12-19.01**

**25 ნოემბერი:** ძალიან ეჭვიანი იქნებით და ამის გამო ვიღაცას აწყენინებთ. თუ ცრურწმენებისგან განთავისუფლება არ შეგიძლიათ, შეეცადეთ, „მჟავე“ გამომეტყველება მაინც არ იქონიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**25 ნოემბერი:** შეეცადეთ, სიტუაცია არ გაირთულოთ და დინებას მიჰყევით. სიტუაცია ისე დალაგდება, როგორც თქვენ გსურთ, თანაც თქვენი ძალისხმევა საჭირო არ იქნება.

**თევზები 19.02-20.03**

**25 ნოემბერი:** გარკვეულ კითხვებზე პასუხის მისაღებად და ჭეშმარიტების დასადგენად საკმაო წვალება მოგიწევთ, რაც რომელიღაც თქვენს ახლობელს არ მოეწონება. ყურადღებით იყავით.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## მშობლების მიტოვებისთვის, შვილებს ციხეში ჩასვამენ!



„მშობლის ამაგს მაშინაც ვერ გადაიხდი, ხელისგულზე ერბოკვერცხი რომ შეუწვაო“, – გაგონილი გექნებათ ეს გამოთქმა და ალბათ, ეთანხმებით კიდეც, თუმცა, სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფრთიან გამოთქმებს კი არა, საკუთარ მშობლებს არ აქცევენ ყურადღებას და სწორედ ასეთების დასჯა გადაწყვიტეს ინდოეთის დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

როგორც ირკვევა, დელის ადმინისტრაციამ ახალი კანონი მიიღო, რომლის ძალითაც, ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელიც მოხუცებული მშობლისთვის ყურადღების მიქცევაზე უარს იტყვის, ციხეში ყურყუტი მოუწევს.

აღსანიშნავია, რომ ასეთ ახალგაზრდებს ინდუსები საჯაროდ, ქალაქის ცენტრში ამართულ სპეციალურ ადგილას დასჯიან და საქვეყნოდ შეარცხვენენ.

ამ დროისთვის, დელიში უკვე ცხრა ასეთი ტრიბუნალია გამოყოფილი.

– შვილები, რომლებიც მშობლებს უყურადღებოდ მიაგდებენ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, დასჯილების მაგალითით კი მსგავსი სურვილი აღარავის გაუჩნდება, – ამბობენ კანონის ავტორები.

რამდენწლიანი პატიმრობა ელის მშობლის მიტოვებისთვის უძღებ შვილს, არ ზუსტდება.

*vesti.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



ახალგაზრდა წყვილს შვილები დიდხანს არ უჩნდებოდა. ვიღაცამ ურჩია, რომში წადით, ამა და ამ ტაძარში სანთელი დაანთეთ და ნატვრა აგიხდებათო...

რამდენიმე წლის შემდეგ რჩევის ავტორი ამ წყვილის სახლთან მოხვდა და მონახულება გადაწყვიტა. მათ სახლთან მისულს ზღურბლთან ხუთი ბავშვი დაუხვდა:

– თქვენი დედიკო სად არის?

– სამშობიაროშია, ბიძია...

– და მამიკო?

– მამიკო რომში წავიდა, რაღაც სანთლის ჩასაქრობად...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.24